პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 160 (18702) ოთხშაბათი, 13 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სოფელს ახლა უნდა დახმარება!

ალაობა მიწათმოქმედისათვის ჯერ კიდევ გაზაფხულის იმ დღეებიდან იწყება, როცა მინდორს თესავს, როცა მთით დაქანებული ნაკადულები მიწას აღვიძებენ.

დიახ, ალაობას ყოველთვის იმედითა და სასოებით ელის მხვნელ-მთესველი, მაგრამ მისთვის ამ პასუხსაგები პერიოდის მოლოდინი წლეულს მეტად მღელვარე გამოდგა. გაუთავებელი თავსხმა და სეტყვა სოფლის მშრომელებს გასაქანს არ აძლევს. სტიქია გლეხკაცის ნაოფლარს ულმობლად ანადგურებს.

აღმოსავლეთ საქართველოს 31 რაიონის 235 მეურნეობის ათიათასობით ჰექტარი ბაღ-ვენახი, პურის ყანა და ბოსტანი წელს, საერთოდ, ვერ მოგვცემს მოსავალს, ან თუ მოგვცა — უმნიშვნელო რაოდენობით. სტიქიით მიყენებული ზარალი ათობით მილიონ მანეთს შეადგენს!

ამ დაძაბულ ვითარებაში ჭირნახულის დაბინავება საერთოსახალხო, დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. სწორედ ახლაა საჭირო აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა პარტნიორის ძალებისა და საშუალებების მობილიზება, გაერთიანება, რამეთუ მათ ხუთწლედის მესამე წლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდების დიდი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი.

დასახულის მისაღწევად ახლა მთავარია ყოველი მეურნეობა სანიმუშოდ იყოს მზად მკისათვის, დასახოს და განახორციელოს ისეთი კომპლექსური სამუშაო გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს ეფექტიანად გამოიყენოს მთელი ტექნიკა, მოსავალი დაბინაოს სწრაფად, უმცირესი დანაკარგებით.

ახლა, როცა ოქროსფრად მობიბინე პურის ყანები მხვნელ-მთესველს უხმობს, ყოველი საათი სათვალავშია. ალაობისათვის მზად უნდა იყოს ყველაფერი — მუშახელი, ტექნიკა, ტრანსპორტი, გზები, კალოები, მარცვლეულის საშრობი ფარდულები და ბეღლები. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით დავაბინავებთ ჭირნახულს, დამოკიდებული იქნება სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულება, სასურსათო პროგრამის დაკალებათა რეალიზაცია. გვახსოვდეს, რომ სამკალად შემოსული საშემოდგომო ყანაში მოსავლის აღების 5 დღით დაყოვნება ჰექტარზე 1,1 ცენტნერ ხორბალს დაგვაკარგვინებს, ათი დღით დაგვიანება კი ექვს ცენტნერზე მეტს.

დღეს მომჭირნეობა, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ჩვენი გეგმების რეალობის საკითხია და მისი გადაწყვეტა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელი სისტემით. ეს სახელმძღვანელო მითითება საგანგებო მნიშვნელობას იძენს დღევანდელ ძნელ პირობებში, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ ნერილით მიმართეს რესპუბლიკის ყველა მშრომელს — უაღრესად აქტიური მონნილეობა მიიღონ სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული რაიონებისათვის დახმარების განევაში, იმუშაონ განსაკუთრებული ენთუზიაზმით, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ გეგმები და ამით ნაწილობრივ აანაზღაურონ ზარალი, რომელიც ჩვენს სოფლის მეურნეობას მოუვიდა.

საჭიროა ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კონკრეტული პირობების მიხედვით შეირჩეს მოსავლის აღების სამუშაოთა ორგანიზაციისა და მართვის ყველაზე ეფექტიანი მეთოდი; შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ მექანიზატორები იყენებდნენ მონინავე ხერხებს, მიაღწიონ ოპტიმალურ საბოლოო შედეგს. კომბაინერებმა, მძღოლებმა უკვე უნდა იცოდნენ მოსავლის ასაღები აგრეგატის მოძრაობის მარშრუტი, უნდა გაითვალისწინონ თითოეული მინდვრის, ყანის თავისებურება.

ამ მხრივ საყურადღებოა სიღნაღელ, წითელწყაროელ და თეთრწყაროელ მექანიზატორთა ინიციატივა. ისინი დამკვრელური შრომით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გაბედულად ნერგავენ ტექნიკის დიდ ჯგუფებად გამოყენებას და კოლექტიური იჯარის მეთოდით მუშაობენ. ეს მათ საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად შეამცირონ მარცვლეულის დანაკარგები და გამოავლინონ კოლექტივის თითოეული წევრის ინიციატივა. აქ ხელმძღვანელობენ პრინციპით: ყველა — ერთისათვის და ერთი — ყველასათვის.

კოლექტიური იჯარის ამ მთავარი თვისების რესპუბლიკის მეურნეობებში მასობრივი გამოყენება დაგვეხმარებოდა არა მარტო მოსავლის სწრაფად აღებაში, არამედ იმაშიც, რომ მნიშვნელოვნად შეგვეცირებინა იმ „გასტროლიორი“ კომბაინებისა და ავტომობილების რიცხვი, რომლებიც სხვადასხვა რაიონიდან არიან მობილიზებული ალაობაში დახმარებისათვის.

შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმის უპირატესობის გამოყენების საქმეში სიღნაღელების, წითელწყაროელების, თეთრწყაროელების თაოსნობა ფართო გავრცელების ღირსია იმიტომაც, რომ რესპუბლიკაში უამინდობის გამო შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თავთავიანები ათასობით ჰექტარით ნაკლებია მომკილი. ჭიანურდება კარტოფილის ამოღება, თამბაქოს შეტეხვა, საკვების დამზადება და სხვა სამუშაოები. ასეთ სიტუაციაში შეუწყნარებელია მანქანების მოცდენა ტექნიკური უნესიერობის, რემონტის დაბალი ხარისხის გამო; მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმათ, ვინც უგერგილობას იჩენს, აფერხებს მინდვრის სამუშაოთა ტემპს.

სამუშაო რიტმი კი ყველგან როდი შეესაბამება წლევანდელი ძნელი ალაობის მოთხოვნას. მაგალითად, იულისის დამდეგისათვის მარცვლეულის ასაღები კომბაინების 18 პროცენტი შესაკეთებელი იყო კასპის რაიონში, ნალკისაში — 20,5 პროცენტი; უხეში საკვების დამზადებაში საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს ჩამორჩებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალციხის, ვანის რაიონების მეურნეობები. სენაჟის დამზადება ყოვნდება ახმეტის, აბაშის, კასპის რაიონებში.

იმის გამო, რომ მოსავლის აღების სამუშაოებს კომპლექსურად არ ახორციელებენ, ასობით ჰექტარზე ნამჯაა გასატანი ლაგოდეხის, ახმეტის და გურჯაანის რაიონების მინდვრებიდან.

ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის ამ ძნელბედობის ზაფხულში საგანგებოდ უნდა ვიზრუნოთ მეორე მოსავლის მისაღებად ნანვერალის გამოყენებისათვის. ამ გზით ბევრ რაიონში შესაძლებელია დამატებით მოვინიოთ ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერამდე სიმინდის მარცვალი და დიდძალი პირუტყვის საკვები. ამ დიდი რეზერვის გამოყენებას გულისყურით ეკიდებიან ნიოელნყაროს ჯგაფარიძის კოლმეურნეობაში, სადაც მკისთანავე ასობით ჰექტარ ნანვერალზე სიმინდი დათესეს.

სანაწვერალო კულტურების მოსავლიანობა მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო შევამცირებთ მკასა და შუალედური კულტურის თესვას შორის პერიოდს.

ჭირნახულის დაბინავების დროს კიდევ უფრო ფართოვდება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირისა და კომკავშირის საზრუნავი. მათ ალაობის მიმდინარეობაზე აქტიური ზემოქმედების მოსახდენად თავიანთი საქმიანობის ცენტრი უნდა გადაიტანონ საველე ბანაკებში, კალოებზე, იქ, სადაც მოსავლის ბედი წყდება. მემინდვრეებს ჭირნახულის დროულ და უდანაკარგო დაბინავებაში მხარში უნდა ამოუდგნენ ალაობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების რგოლები, პარტიული ჯგუფები, დეპუტატთა საგუშაგოები, სახალხო კონტროლიორთა ჯგუფები.

უკლებლივ ავიღოთ, რაც მოვიყვანეთ. ეს არის დღეს რესპუბლიკის მშრომელთა მთავარი საზრუნავი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა ღირსების საქმე. სოფელს ახლა უნდა რესპუბლიკის ყველა მშრომელის თანადგომა.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ცედენბალსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჟ. ბატმუნხს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა მოძმე მონღოლეთის ეროვნული დღესასწაულის — სახალხო რევოლუციის 62 წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

მონღოლეთის სახალხო რევოლუციამ ქვეყანას დაუსახა არაკაპიტალისტური განვითარებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე ყოველმხრივი პროგრესის პერსპექტივები. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ სახალხო მონღოლეთის წარმატებები თანამედროვე მრავალდარგიანი ეკონომიკის შექმნაში, მშრომელთა კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში, ახალი ადამიანის — სოციალიზმის აქტიური მშენებლის აღზრდაში. ეს ისტორიული მიღწევები მონღოლეთის სახელოვანი შვილის, სახალხო რევოლუციის ბელადის დ. სუხე-ბატორის ანდერძის ღირსეული განხორციელება, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის ნაყოფიერების ცოცხალი დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ მონღოლეთის წვლილს სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებაში, მოძმე პარტიებისა და ქვეყნების ერთობლივ ბრძოლაში მტკიცე მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნისათვის.

წლითიწლობით ფართოვდება და ღრმავდება საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ტრადიციული კავშირურთიერთობა, მჭიდრო, ყოველმხრივი თანამშრ ო მ ლ ო ბ ა. ჩვენი ხალხების მტკიცე იდეური ერთიანობა და ძმური კავშირი ხელს უწყობს მათი ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების გადაწყვეტას, ჩვენს ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის საქმეს. (საკდესი).

სკკპ საქმიანობის აქტუალური საკითხები

მეორე გამოცემად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის „რჩეული სიტყვები და სტატიები“. იგი აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის აქტუალურ საკითხებს.

კრებული შედგება სიტყვების, სტატიებისა და გამოსვლებისაგან, რომლებიც მოიცავს ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის საქმიანობას 1942 წლიდან 1983 წლის ივლისამდე პერიოდში. წიგნის მასალები წარმოაჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მრავალმხრივ მუშაობას კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში, ისინი მოწმობენ, რომ თანამედროვე ეტაპზე პარტიისა და ხალხის საქმიანობის დედაარსია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება ამ ხანგრძლივი ისტორიული ეტაპის დასაწყისში, რომელსაც მივყავართ კომუნიზმზე თანდათან გადასვლისაკენ.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა ხალხის საქმიანობის მთავარ სფეროს — ეკონომიკას. გამოყოფილია საკვანძო პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა საზოგადოების განვითარების ტემპი და რომელიც შეგვიძლია გადავწყვიტოთ ყველაზე მოკლე გზით, ძალებისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით. ეს არის პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, ყველა საფეხურის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის შემადგენელი ერებისა და ეროვნებების შემდგომი აყვავების და დაახლოების საკითხთა გაშუქებას.

წიგნში ასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის, იმ მუშაობის ძირითადი ასპექტები, რომელსაც პარტია და მთავრობა ეწევიან სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად, სსრ კავშირის ჯეროვანი თავდაცვისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოს იმ გეგმების ჩასაფუშად, რომ მოიპოვონ სამხედრო უპირატესობა სსრ კავშირთან, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებთან შედარებით.

წიგნში შეტანილია ზოგიერთი მასალა 1979 წელს გამოსული კრებულიდან, აგრეთვე მომდევნო პერიოდის ნაშრომები.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

11 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი შეხვდა ლაოსის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს, არმიის გენერალ კ. სიფხანდონს, რომელიც სამშობლოს მიემგზავრება და გავლით იმყოფება მოსკოვში.

დ. თ. უსტინოვსა და კ. სიფხანდონს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი. (საკდესი).

ირაკლი აბაშიძე

22—90

ИДУ КРАСИВЫЙ, ДВАДЦАТИДВУХЛЕТНИЙ.

ხარ დღესაც ისევ ჯარისკაცი,
ხარ მეთაური;
კვლავ რეკავს, რეკავს
შენი ზარი,
შენი საათი.
დადიხარ ქვეყნად
კვლავ ლამაზი,
კვლავ ოცდაორის —
ჯერ შორს, შორს არის
შენი ჯიშის 90.
უმკაცრეს წლებში
საუკუნემ ბევრი გაცხრილა,
საგზური თვისი
საუკუნემ
ბევრს ხელთ არ მისცა...
დადიხარ ქვეყნად
ისევ ჯანყად,
ისევ ყმაწვილად,
დროშების ჭარში
ჯერ სანამ დუღს
ეს დედამიწა.
გათავდა, მორჩა,
აღარც ჭორი,
აღარც ხმაური —
შენ ხარ ცოცხალი,
შენი რიხით,
შენი ფიქრებით...
დადიხარ ქვეყნად
კვლავ ლამაზი,
კვლავ ოცდაორის
იქ, სადაც იწვის
შუაღამის მატერიკები.
ახალ ხმებისთვის,
ახალ მზისთვის,
ახალ ბრძოლისთვის
შენ იგნებ გზა-კვალს,
იგნებ ისევ,
როგორც იგნებდი,
და მოგდევს გვერდით
შენებრ ახლაც 22 წლის
შენი ნერუდა,
შენი ლორკა,
შენი ჰიქმეთი.

ფასდაკლებულია
საიუბილეო ზეიმის
მონაწილენი

ხალხთა ძმობის მეხოტბე

მგზარ ისაევი,

მაიაკოვსკის საკავშირო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, პოეტი

— ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა კუთხიდან წვეულ სტუმართა სახელით თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა ჩინებული გაწყობილებით ჩამოვიდა საქართველოში, უმეტესობამ ხომ პირველად დაადგა ფეხი იმ მიწას, სადაც დაიბადა ვ. მაიაკოვსკი და გადადგა პირველი ნაბიჯები პოეზიის დიდ გზაზე.

პირადად მე ორმოცი წლის წინათ ვიყავი საქართველოში, ავად მოსაგონარ 1943 წელს, და აი, ამდენი ხნის განშორების შემდეგ სრულიად ახალ საქართველოს ვეწვიე.

სოციალისტური სამშობლოს მეზნებარე მეხოტბის ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიას მე დამატებით ეუწოდებდი „დამოყვრების ტრაქტატს“. ქართველ და რუს ხალხთა შორის მეგობრობის მატიანეში მისი პოეზია ჭეშმარიტად მეგობრობის პოეზიაა. იგი ასე ძალუმად სწორედ ახლა ეღერს, როცა ქართველი ხალხი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის ემზადება. მაიაკოვსკის დღეებიც სწორედ ამ ზეიმს ეხმიანება.

უზომოდ მახარებს ჩემს კოლეგებთან შეხვედრა, რომლებსაც თავისი ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებად მივიჩნევ. მწამს, მაიაკოვსკის დღეები ჩვენი ურთიერთობის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი იქნება.

ლუდმილა შიკინა,

მოსკოველი პოეტი

— ფრიად მოხარული ვარ, რომ წლად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მივიღო მაიაკოვსკის დღეებში, რადგან მწამს, რომ ეს დღეები ძალიან ბევრს შემძენს და უსათუოდ თავის კვალს დაჩნევს ჩემს შემოქმედებას.

მაიაკოვსკი მუდამ ჩვენ გვერდით არის, მისი ყოველი სიტყვა ყოველთვის თანამედროვეა, მაგრამ განსაკუთრებული ეღერადობა, ვფიქრობ, მას დღეს აქვს, რადგან პრინციპული, აქტიური ადამიანის აღზრდას ბოლო ხანს დიდი ყურადღება ექცევა. ყველას, ვინც ამ საიუბილეო ზეიმში მივიღებთ მონაწილეობას, ვ. მაიაკოვსკი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს და მოგვიწოდებს, რომ ჭეშმარიტი პოეზია ბრძოლაა სამშობლოს სასიკეთო სამსახურისათვის.

თუმცა საქართველოში პირველად ჩამოვედი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვიცნობ ქართველ მკითხველს. მე მათგან ბევრ წერილს ვიღებ, რომლებსაც მუდამ ინტერესით ვეცნობი. ქართველი მკითხველები დახვეწილი, ფაქიზი გემოვნებისანი არიან და ფრიად სათუთ დამოკიდებულებას იჩენენ სიტყვის მიმართ. მოუთმენლად ველი მათთან შეხვედრას.

ნიკოლოზ დამდინოვი,

ბურიატეთის ასს რესპუბლიკის სახალხო პოეტი

— მართალია, საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ თქვენი შესანიშნავი პოეტების ნაწარმოებებით, აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის, მაიაკოვსკის პოეზიით კარგად ვიცნობ კავკასიის, საქართველოს. მიხარია, რომ მოვინახულებ იმ ადგილებს, სადაც დაიბადა და გაიზარდა საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი მაიაკოვსკი, და რომლებსაც ასე გზნებით უმღერა მან თავის მრავალ ლექსში, ბურიატულ ენაზე თარგმნილი მაქვს მაიაკოვსკის პოემა „კარგი“, ვფიქრობ, განვაგრძო ეს მუშაობა. საქართველოში ყოფნა ალბათ ამის დიდ სტიმულს მომცემს.

პირადად ჩემთვის მაიაკოვსკის პოეზია მუდამ მისაბაძია ფორმის მხრივ, იგი მასწავლის მასალის ათვისებას. ჩემი აზრით, ყოველად შეუძლებელია წერო თანამედროვე თემაზე მაიაკოვსკის პოეზიის, მისი სკოლის გარეშე. მისი გამოცდილება ძალიან ბევრს აძლევს შემოქმედს. იმედი მაქვს, რომ ეს დღეები გარკვეულ ასახვას პოეზებს თითოეული ჩვენგანის შემოქმედებაში.

ვასილ რომანიჩუკი,

მოლდაველი პოეტი

— სულ რაღაც ერთი თვის წინათ დავამთავრე დავით გურამიშვილის „ქართლის ჯირის“ თარგმნა და ჩავაბარე გამომცემლობას. ასე რომ, ჯერაც არ გამნელებია ქართული პოეზიის მადლი. და აი, კვლავ ქართულ მიწაზე ვარ, ჩემს კოლეგებთან ვზიმობ ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი პოეზიის დღესასწაულს. მაიაკოვსკი როგორც ყველასათვის, ჩემთვისაც დიდი მასწავლებელია, უწინარეს ყოვლისა, პოეზიის ხასიათთან, პრინციპულობით, რეალური თანამედროვე პოეზიის ნიმუშებით.

ადრეც ვყოფილვარ საქართველოში, კახეთის პეიზაჟები ძალიან მაგონებს ჩემი მშობლიური მოლდავეთის პეიზაჟებს და ვაღიარებ, რომ მუდამ სიხარულით მომიწევს საქართველოში გული.

ზეიმზე ჩამოსულ სტუმართა ერთი ჯგუფი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავი

ყვავილები — ლენინს

ამ დღეს თბილისელები გახდნენ ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მონაწილენი. ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდა საბჭოთა და საზღვარგარეთელ ლიტერატორთა დიდი ჯგუფი. მწერალთა პირველი სიტყვა მიმართული იყო ლენინისადმი, რომელსაც ასე მგზნებარედ უმღერა თავის შემოქმედებაში დიდი ეპოქის დიდმა პოეტმა.

ქალაქის ცენტრში ბელადის მონუმენტთან მოვიდნენ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლები, ბულგარელი, უნგრელი, ვიეტნამელი, კამპუჩიელი, ჩეხოსლოვაკიელი, პოლონელი მწერლები... წუთიერი დუმილით მათ პატივი მიაგეს მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ხსოვნას, ყვავილებით შეამკეს ძეგლის კვარცხლბეკი.

...და მაიაკოვსკის

შემდეგ მწერლები მეგობრობის პროსპექტისაკენ გაემართნენ. იქ, სადაც საქართველოს სამხედრო გზა ქალაქში შემოდის, აღმართულია რევოლუციის მომღერლის ვლადიმერ მაიაკოვსკის მონუმენტი, თითქოს მომავალს მიელტვისო ფიგურა პოეტისა, რომელმაც ბევრი შთაგონებული სტრიქონი უძღვნა საქართველოს. დამსწრეთ ყვავილებით შეამკეს ძეგლი. და თითოეულს თითქოს ესმოდა პოეტის სიტყვები: „ვადიდებ მამულს, რომელიც არის, და სამგზის, რომელიც იქნება“. და მამულიც ასმაგად უნაზღაურებს სიყვარულსა და ერთგულებას. (საქინფორმი).

სოციალიზმის ეპოქის პოეტი

თვალსაჩინო საბჭოთა მწერლებს, ბულგარელ, უნგრელ, ვიეტნამელ, კამპუჩიელ, კუბელ, მონღოლ, პოლონელ, რუმინელ, ჩეხოსლოვაკიელ პოეტებსა და მთარგმნელებს მოუყარა თავი საქართველოში ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის, რევოლუციის დიდი მომღერლის ვლადიმერ მაიაკოვსკის იუბილემ.

მაიაკოვსკი — პოეტი და მოქალაქე საქართველოში იწყებოდა, და მის მადლიან მიწას ახსოვს და უყვარს რუსეთის დიდი შვილი. „მე ვიცი: უმღერდნენ ედემს და სამოთხეს, მაგრამ თუ ლექსადნენ ოცნებით, ალბათ საქართველო ედემად გამოჰყვეს, მასზე თუ გალობდნენ მგოსნები...“ გულგრილად ვერ წაიკითხავთ საქართველოსადმი შვილიერი სიყვარულით აღსავსე პოეტის ამ სტრიქონებს. მისი ჩანგი წლების მანძილზე სულ უფრო ღღერადი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მაიაკოვსკი დღესაც ჩვენთან არის, ჩვენი თანამედროვეა. ეს მკაფიოდ და თვალნათლივ წარმოჩნდა საიუბილეო საღამოზე, რომელიც 12 ივლისს გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

...სცენის სიღრმეშია ყვავილებით შემკული ვლადიმერ მაიაკოვსკის დიდი პორტრეტი.

საიუბილეო საღამოზე მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტოაშვილი, ნ. ა. ჭითაია, ე. კ. შარტავა. აქვეა ვ. მაიაკოვსკის იუბილეს მომწყობი სრულიად საკავშირო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ლენინური პრემიის ლაურეატი პოეტი ე. ისაევი, რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის წევრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ. იგი გულითადად მიესალმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაციას, საზღვარგარეთელ სტუმრებს, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და იგი ასეც იქცეოდა, როცა მუშაობდა რუსეთის დეპუტატთა საგენტოში, ქმნიდა სატირულ პლაკატებს, რომლებიც მიმართული იყო ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს გვიშლიდა „გვეშენებინა და გვეცხოვრა“, დღენიადაგ იქრებოდა ცხოვრების შუადღეში. გაზეთების ფურცლებიდან ან საჯარო გამოსვლებში.

თავის ინტიმურ ლირიკაშიც კი პოეტი ტრიბუნად რჩებოდა, მას პირადულ-განზოგადებამდე, ხოლო გრძნობების სფერო — მაღალი ზნეობრივი გაკვეთილების ხარისხში აჰყავდა.

წარეკვალია ყოველივე იმის ღირებულება, რაც მაიაკოვსკიმ შექმნა კომუნისტური ზნეობის დამკვიდრების დარგში. თავისი პოეტური სიტყვით იგი ამათრახებდა ბიუროკრატებს, მექრთამეებს, მომხვეჭელებს, ობივატელებს, შემგუებლებს, პროგოკატორებს, დემაგოგებს... მაიაკოვსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ეს ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი მხარე თავის აქტუალურობას არ კარგავს, სანამ ჯერ კიდევ არის ჩვენს ცხოვრებაში სხვადასხვა გადმონაშთები და გადახრები, სანამ ბოლომდე არ არის მიყვანილი ჩვენი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების აღმოფხვრისათვის.

მაიაკოვსკის მგზნებარე, მომწოდებელი, მოქალაქეობრივობით გამსჭვალული შემოქმედება შესანიშნავი ილუსტრაციაა აზრისა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე გამოთქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდია ხელოვნების მოღვაწეთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ „მათ ხელთ არსებული ძლევამოსილი იარაღი იმსახურებოდეს ხალხის საქმეს, კომუნიზმის საქმეს“.

მაიაკოვსკის ბასრი ი. ი. ი. ყოველთვის ამ საქმეს ე. ახურებოდა. იგი დღესაც ემსახურება მას. სწორედ ამიტომ მაიაკოვსკის საუკეთესო ძეგლია, როგორც თვით პოეტმა თქვა, „ბრძოლებში აშენებული სოციალიზმი“.

ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების წარუვალ მნიშვნელობაზე, მის ნაწარმოებებზე, რომლებიც დღესაც ჩვენი ერთგული თანამებრძოლნი არიან ნათელი იდეალებისათვის ბრძოლაში, სალამზე ილაპარაკეს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ბ. პოტემა ე. ისაევმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა პოეტმა შ. ნიშნიანინიძემ, ცნობილმა რუსმა პოეტმა ა. მეჟეიროვმა, პოეტმა რ. ამაშუკელმა, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. გაჩეჩილაძემ, ცნობილმა უნგრელმა პოეტმა გაბორ გარაიმ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. ფულაიამ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა.

საიუბილეო საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი. (საქინფორმი).

მთელი პარტიის საქმე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმიდან

პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირეული საკითხი, კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა იდეოლოგიურ მუშაობას თანამედროვე პირობებში. ხულუფრო მეტად დგება რა წინა პლენზე, მას სპირდება დახვეწა იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში,

განიხილა რა ამ თვალსაზრისით რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო შემდეგ მთავარ მიმართულებებს.

იდეოლოგიური მუშაობა მუდმივი შემოქმედებაა

ხაზგასმით აღინიშნეს რა იდეოლოგიური მუშაობის ეს მთავარი თვისება, ორატორებმა ილაპარაკეს შემოქმედებითი საქმიანობის ანტიპოდების — ფორმალიზმის, შაბლონის, ზანტი აზროვნების შესახებ, რომელთა ორიენტირია არა ცოცხალი საქმე, არამედ ბიუროკრატიული ანგარიში მის შესახებ და რომლებიც ამით ძირს უთხრიან თვით საქმისადმი ნდობას.

ასევე საშიშია მისთვის წმინდა რაოდენობრივი მაჩვენებლებით გატაცება. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამომცდელმა **ბ. ვაშაძემ** ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება ფორმალური პოზიციებიდან, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არა განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობას, არამედ უკუგებას და შესაბამისად უნდა მოგკითხოთ ლექციის, კრების, ინფორმაციის ხარისხისათვის, მასებზე მათი გავლენის დონისათვის. პარტიის წევრკის რაიკომის პირველმა მდივანმა **ო. ხრისტიანოვმა** აღნიშნა, რომ ფორმალიზმის დამკვიდრებას ხელს უწყობს კრებებსა და თათბირებზე გამოსვლების, წამოყენებული წინადადებების საკითხების რაოდენობის მიხედვით ამა თუ იმ **ამხანაგის** აქტიურობის შეფასების არასწორი მეთოდი, ა. შ. შეფასების ერთადერთი სწორი მეთოდია ის, თუ როგორ იბრძვის ადამიანი არსებული ნაკლოვანებების, დარღვევების აღმოფხვრისათვის, რამდენად პრინციპული და თანამშრომლური პოზიცია უკავია მას ამ დროს.

იდეოლოგიური მუშაობა მით უფრო შემოქმედებითი მუშაობაა, რომ იგი უშუალო გავლენას ახდენს ადამიანთა გუნება-განწყობილებაზე. სწორედ ამიტომ იგი არ უნდა ჩაიკეტოს საკუთარ თავში და განმსჯელოს სამეურნეო პრაქტიკაც. თვალსაჩინო მაგალითს შეიცავდა პარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივნის **ე. ბერიძის** გამოსვლა. რაიონმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა შეძლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაენერგა შრომის ორგანიზაციის ისეთი პროგრესული ფორმა, როგორიცაა სამეურნეო-ანგარიშიანი ბრიგადა. აქ სწორად მიუდგნენ ექსპერიმენტის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, გულდასმით მოამზადეს იგი.

აი როგორ მოხდა ეს. პარტიის რაიკომმა იმით დაიწყო, რომ გაანალიზა მეურნეობებში საქმის ვითარება. 1980 წელს ათი საბჭოთა მეურნეობიდან შვიდი ზარალიანი იყო. მათ სახელმწიფო დავალიანება ჰქონდათ თითქმის სამი მილიონი მანეთი. ამავე დროს უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონის სოფლის მეურნეობას მოხმარდა ათეულმილიონიანი მანეთი: აშენდა სარწყავი სისტემები, მეცხოველეობის კომპლექსები, გაიზარდა მეურნეობათა ენერგოაღჭურვილობა. სათანადო უკუგება კი არ ყოფილა. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ბევრი რამ იყო ამის მიზეზი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია შრომითი პროცესის ცუდი ორგანიზაცია. მთავარი კი ის არის, რომ ჯეროვნად არ იყო შეფასებული კოლექტიური პასუხისმგებლობის, ადამიანთა მატერიალური და მორალური დაინტერესების მნიშვნელობა.

კომუნისტთა ინიციატივით შარშან რაიონში შეიქმნა მეკატოფილეთა ათი მექანიზებული სამეურნეოანგარიშიანი რგული. ამავე წელს კარტოფილის საშუალო მოსავლიანობამ 60 პროცენტით გადაჭარბა გეგმით გათვალისწინებულს, ერთიორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. პრაქტიკამ დაადასტურა არჩიული გზის სისწორე. ახლა დმანისელი მეკატოფილეები თვითონ გეგმავენ თავიანთ მუშაობას, ამტკიცებენ ტექნოლოგიურ რუკებს, მონაწილეობენ ხელოსანისა და პრემიების განაწილებაში. ამის შედეგად ამაღლდა პასუხისმგებლობა, გაძლიერდა ურთიერთკონტროლი.

„აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნას ისინი, უწინარეს ყოვლისა მიუდგნენ როგორც ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების პრობლემას, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთიანი მიზნით, ერთიანი ინტერესით, პასუხისმგებლობით საერთო მუშაობის, საბოლოო შედეგებისათვის“ აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამაშის ექსპერიმენტის წარმატების პირველმიზეზის შესახებ. იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად ფოთის სამეურნეო-სამმართველო ექსპერიმენტის წარმატებით განვითარებას. სწორედ ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებით დაიწყეს ფოთში ამისათვის მზადება. ბევრი ძალ-ღონე მოახმარეს პარტიის საქალაქო კომიტეტმა, მისმა იდეოლოგიურმა აქტივმა იმას, რომ დაეძლიათ ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ვიწროუწყებრივი ფსიქოლოგია, მოეგვარებინათ მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, რომელზეც გადიდებული მოთხოვნაა. გამოიყენეს რა არსებული შესაძლებლობანი, მათ შორის სამანქო კრედიტი, შრომითი კოლექტივების წილობრივი მონაწილეობა, აქ მიაღწიეს ეფექტიან, რენტაბელურ მუშაობას, მიაგვარეს უნარჩენო წარმოება. ამის შედეგად, მიმდინარე წლის ექვს თვეში მარტო ანარიცხები ბიუჯეტში 2,5-ჯერ და მეტად გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამაღლდა ადამიანთა დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით, მოთხოვნილება შემოქმედებითად მიუდგნენ საქმეს, აქტიურული ცვლილებების რწმენა.

— ქალაქის პარტიული ორგანიზაცია განაგრძობს ძიებას, — თქვა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. გულუამ.** — ჩვენ ვეძებთ ქალაქის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, ანალიზისა და მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფის ახალ ფორმებს.

პლენუმზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. გაბუნიამ** აღძრა საკითხი მუშაობის, შრომუქმიანის ხარისხის იდეოლოგიური, ზნეობრივი და სოციალური მნიშვნელობის შესახებ. სამწუხაროდ, ადამიანის აღზრდის ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტორს ყველგან და ყველა რიგი აფასებს ჯეროვნად. ხარისხი კი ის გზაჯვარედინია, სადაც ეუშალოდ, უმჭიდროესად უკავშირდება ერთმანეთს ეკონომიკა და იდეოლოგია, წარმოების მუშაკის საქმიანობის საბოლოო შედეგი და მომხმარებლის ინტერესები. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის თვით პროცესსაც უდიდესი აღმზრდელობითი ზემოქმედება აქვს, ბევრად ახდენს გავლენას შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე, მაშასადამე, პიროვნების ჩამოყალიბებაზეც.

როგორც მრეწველობაში, ისე სხვა სფეროებში მოცულობითი მაჩვენებლების განვითარების აშკარად გამოკვეთილ დადებით ტენდენციებს შიაღწევს თბილისის შრომითმა კოლექტივებმა. ისინი ჩვეულებრივიც კი გახდა. ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგში კი, კერძოდ, პროდუქციის ხარისხის დარგში, თუმცა არის არსებითი პოზიტიური ძვრები, მაგრამ მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა. ეს განსაკუთრებით ეხება მრეწველობის დარგებს, რომლებიც საქონელს უშვებენ ყველასათვის.

ჯერ კიდევ ნამდვილად სერიოზული პრობლემაა საბინაო მშენებლობის ხარისხიც. მისი გადაწყვეტისათვის საჭიროა მოწესრიგდეს საკითხთა მთელი კომპლექსი, რომელთაგან თითოეულს აქვს ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. ერთი მათგანია, აღინიშნა პლენუმზე, მშენებელთა შრომის ხარისხის მატერიალური სტიმულირების არსებითი სისტემის რაციონალური გამოყენება. საქმე ის არის, რომ შრომის ანაზღაურების სისტემა, რომელზეც გადავიდა თბილისის თითქმის ყველა სამშენებლო ორგანიზაცია, ითვალისწინებს მუშათა ხელფასის დიფერენცირებულ დანამატებს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შესაბამისად. მაგრამ ეს დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი ყველგან სწორად როდია გამოყენებული: ზშირად ხელფასს აძლევენ დამშვებული მაქსიმუმის მიხედვით, ხარისხის მიუხედავად. ამას ხელს უწყობენ როგორც შემკვეთები, რომლებიც მშენებლებს საპრემიო სახსრებს აძლევენ, ისე საბანკო ორგანოებიც. როგორ შეიძლება ასეთი ვითარების დროს ვიქონიოთ შესრულებული სამუშაოს დონისადმი შემსრულებლის დამოკიდებულების შეცვლის, საკუთარი შრომის ხარისხისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვის იმედი? მშენებლობის სამინისტრომ, მშენბანკმა და კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ აუცილებლად უნდა გამოასწორონ ასეთი მდგომარეობა?

„ხარისხის ეტალონები უნდა ავიღოთ ყოველგვარი შეღავათის გარეშე, ყველაზე მაღალი“ — ხაზი გაუსვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. შეღავათები ხარისხის საკითხებში არ უნდა იყოს. რადგან ხარისხის პრობლემას, ეკონომიკურის გარდა, აქვს მეტად არსებითი და სოციალური ასპექტი: განა შეიძლება გამოვიანგარიშოთ ზარალი, რომელსაც საზოგადოებრივ აზრს აყენებს ის, რომ მაღაზიებში ცოტაა სახალხო მოხმარების ხარისხიანი და მოდური საქონელი, კიდევ უფრო მეტად — ახალმოსახლეობით, რომელიც ჩაშბამუნელია იმის აუცილებლობით, რომ დამოუკიდებლად აღმოფხვრან მშენებელთა ნაკლოვანებანი და ხარვეზები?

იდეოლოგიური მუშაობა მუდმივი შემოქმედებაა. იქ, სადაც ეს მკაფიოდ აქვთ შეგნებული, საქმე კარგად მიდის. ჩვენ შეგნებული გვაქვს, თქვა პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. აბრამიშვილმა,** რომ მხოლოდ პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და სამეურნეო მუშაობასთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემოქმედებითს შეხამებას შეუძლია მოგვცეს საჭირო ეფექტი. დღეს სამეურნეო ხელმძღვანელთა თითქმის სამ მეოთხედს აქვს იდეოლოგიური დავალებანი. სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ეგრეთ წოდებული „საბჭოს დარბაზი“, სადაც გამოცდილი იდეოლოგიური მუშაკების დახმარებით სოფლის მშრომელები ეძებენ და პოულობენ სამუშაო და თავისუფალი დროის ეფექტიანი გამოყენების ახალ ფორმებს. ამ მეურნეობის თითოეულ ბრიგადაში არიან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორები. ამავე დროს, მთლიანად რაიონში ჯერ კიდევ ნელა ინერგება იდეოლოგიურ მუშაობაში მოწოდებაც გამოცდილება. თავს იჩენს ფორმალიზმი, შაბლონი, გაუბედადობა.

პლენუმზე მთელი სიმწვავითა და პრინციპულობით დაისვა საკითხი იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმის ქმედითობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ მუშაობაში განსაკუთრებით საშიშია წუნი და, როგორც მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობა —ფორმალიზმი. ორატორებმა გულდასმით გაანალიზეს მისი წარმოქმნის მიზეზები. ერთი მთავარია მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეცვლა. ხშირად, ამა თუ იმ ფორუმზე გამოსვლის, ზემდგომი ორგანოების წინაშე ანგარიშის ჩაბარების დროს, ამაყად მოახსენებენ ხოლმე, რომ ამა და ამ რაიონში, ან ამა და ამ საწარმოში იდეოლოგიურ ფრონტს ამდენი და ამდენი კაცი ქმნისო. ამასთან, ამბობენ, ეს ამდენითა და ამდენით მეტია, ვიდრე წინა პერიოდშეო. ხოლო როცა ამას ლექციების, მოხსენებების, საუბრების, ყოველგვარი სემინარებისა და კონფერენციების რიცხვსაც მიუმატებენ, მაშინ მთლად სასიხარულო სურათი იქმნება. გაცილებით ობიექტურად მიაპყრობენ მთელ ყურადღებას იდეოლოგიური აქციების უშუალო უკუგებას.

არის ფორმალიზმის წარმომშობი სხვა ტენდენციაც. ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, და არა მარტო მათში, უფროსიან დაგეგმილი ლექციების, პოლიტინფორმაციების, საუბრების, კრებების გადატანას იმ შემთხვევებშიც კი, როცა ისინი ამა თუ იმ მიზეზით მომზადებული არ არის. ფორმალიზმი არ უნდა იყოს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითის მუშაობაში, — ასეთი იყო პლენუმის ყველა მონაწილის ერთსულოვანი აზრი. მით უმეტეს, რომ რესპუბლიკაში მომზადარი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები შესაძლებლობას გვაძლევენ პრობაგანდა ვაწარმოოთ ერთობ მჭევრმეტყველურად, რეალური ფაქტებით.

როცა ვაანალიზებთ ჩვენთან ქალაქში შექმნილ იდეურ-პოლიტიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას, — თქვა პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. კოზაევმა,** —ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, თუ რა ძლიერ ზეგავლენას ახდენენ კეთილი გარდაქმნები ადამიანთა საზოგადოებრივ შეგნებასა და ქცევაზე, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებაზე, რომელიც საბოლოო ანგარიშით შრომელთა სოციალური აქტიურობით, მათი მიღწევებით გამოიხატება.

დიალოგის გაძლოლის უფლება

პლენუმზე გამოიკვეთა პიროვნებასთან დიალოგის თემა. დღეს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად, ხვალ ეონების თვალით მისაწვდომ და შორეულ მომავალში პიროვნებასთან დიალოგის ხელოვნებას უფრო მეტი ფასი დაედება. სწორედ ამიტომ ამ ხელოვნების პარტიული, იდეოლოგიური მუშაკი უნდა ფლობდეს ისევე, როგორც პროფესიულ ჩვევებს. პიროვნებასთან დიალოგი გულისხმობს, რომ მისი გამძღოლი მზად არის შეიითვისოს ყოველივე საუკეთესო, ანალი, რომ იგი არა მარტო მოწინავე შეხედულებებისა და იდეების მატარებელია, არამედ იღებს კიდეც მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პლენუმზე ამ თემას მჭიდროდ დაუკავშირდა იდეოლოგიური მუშაობის მთავარი პრობლემა — კადრების პრობლემა. თანამედროვე პირობებში არა მარტო შეუძლებელი, არამედ დაუშვებელიცაა ადამიანებისა და საქმის ხელმძღვანელობის მხოლოდ ტრადიციულ საშუალებათა გამოყენება. ამიტომაც კადრების იდეოლოგიური მომზადება უნდა შეესაბამოდეს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. და აქ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თითოეულს ჩავუნერგოთ პასუხისმგებლობის გრძნობა —იქნება იგი რგვინი მშრომელი თუ ხელმძღვანელი, მოკითხოთ მას მუშაობის კონკრეტული შედეგებისათვის. პრაქტიკა დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ იდეოლოგიური მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობა და იდეური სიმწიფე უმჭიდროესად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. პრინციპული მნიშვნელობა აქვს კადრების იდეურ წრთობას. მათ უნარს გულდაჯერებით ერკვეოდნენ ახალ საზოგადოებრივ მოვლენებში, აძლევდნენ მათ სწორ შეფასებას და გამოჰქონდეთ სწორი პოლიტიკური დასკვნები.

ადამიანი, რომელიც ქადაგებს კომუნისტურ იდეოლოგიას, უწინარეს ყოვლისა თვით უნდა იყოს იდეური, მან არა მარტო უნდა იცოდეს, რას ამბობს, არამედ მტკიცედ უნდა სწამდეს კიდეც თავის სიტყვები, ხაზგასმით აღინიშნა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. თოდუამ.** პროპაგანდისტი, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, ვალდებულია გამოირჩეოდეს არა მარტო თავისი თეორიული მომზადებით, არამედ უნდა ჰქონდეს მორალური უფლება ქადაგებდეს მარქსისტულ იდეოლოგიას. თუნდაც ყველაზე ერუდირებული, მაგრამ გაორებული ადამიანი, რომელმაც იცის, სად რა თქვას, მაგრამ ცხოვრებაში სხვა, მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი იდეებით ხელმძღვანელობს, არა თუ არ მოგვიტანს სარგებლობას, არამედ საშიშიცაა.

პროპაგანდისტი, რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს, ვალდებულია საკუთარი პიროდი მაგალითით, ამა თუ იმ მოვლენისადმი სწორი დამოკიდებულებით ახდენდეს ზეგავლენას მასებზე. ადამიანებს ჰაერივით სჭირდებათ ამ მოვლენების სწორად ამხსნელი სიტყვები, რომლებიც გააანალიზებენ, წონ წამოსწევენ დადებითს, წარმოშობენ ახალ სტიმულს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იდეოლოგიური კადრების მომზადებას.

ეს მეტად საჭირბოროტო პრობლემაა რესპუბლიკის მთის რეგიონებისათვის. როგორც პლენუმზე პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. გუნავამ** განაცხადა, რაიონს განსაკუთრებით სჭირდება რესპუბლიკის იდეოლოგიური ინსტიტუტების თეორიული და პრაქტიკული დახმარება ადგილმბრივი კადრების მომზადებაში, რომლებსაც შეეძლებათ პოლიტიკურად მიუდგნენ დასახული ამოცანების გადაწყვეტას, გამოიჩინონ ინიციატივა და გარგილიანობა, თვითკრიტიკულად შეაფასონ თავიანთი მუშაობის შედეგები.

პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვა მნიშვნელოვანი საქმეა. ეს განსაკუთრებით კარგად გვარდება შრომითი კოლექტივის ჯანსაღ მიკროკლიმატში, რომელსაც მეთაურობს მებრძოლი პარტიული ორგანიზაცია, შრომის კარგი ორგანიზაციის, თითოეულის ფუნქციების ზუსტი განაწილებისა და ვალდებულებების მკაცრი განსაზღვრის პირობებში.

კარგი გამოცდილება შეიძინეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში. მინისტრის მოადგილეს კადრების დარგში. დაეკვალა უხელმძღვანელოს აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს, თქვა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა **ვ. პიხარევამ.** აქ შეიქმნა შესაბამისი განყოფილება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივ აზრს: ანალიზებს სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობის სტილს, მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს კოლექტივში, აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობას. სამინისტროში შეიქმნა სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო, რომელშიც შედიან უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტის, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, სხვა სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები. საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგიანობა მნიშვნელოვანია. თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „სანოთოს საქართველოში“ მაგალითად, ბოლო წლინახევრის მანძილზე ნახევრად და მეტად შემცირდა გაცდენები, მესამედით —სამუშაო დროის დანაკარგები, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ერთი მესამედით შემცირდა გაცდენები თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაშიც...

გულისხმიერად ეკიდება კადრების აღზრდას მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის რაიონის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ **გ. წითლიძემ,** რომელმაც ილაპარაკა ამის შესახებ“, აღნიშნა, რომ იდეოლოგიური მუშაკების მომზადება კომუნისტებს მუდამ მხედველობის ორეში აქვთ, ნიადაგ ამოწმებენ მათ სულ უფრო და უფრო რთული დავალებების მიცემით, ეხმარებიან იმ უბნების მუშაობის თანამიდევრულ დაუფლებაში, რომელთა ხელმძღვანელობაც მათ მოუწევთ მომავალში. ამავე მიზნის ეკვემდებარება რესპუბლიკის პროკურატურაში შექმნილი ახალგაზრდა სპეციალისტების სკოლის მუშაობა. აქ, თქვა საქართველოს სსრ პროკურორმა **ა. ბარამაძემ,** დიდი ყურადღება ეთმობა კადრების პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდას, მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის ამაღლებას.

ჩვენ ძალზე გვაკლია იდეურად, პოლიტიკურად მომზადებული ხელმძღვანელები — ორგანიზატორები, აღნიშნა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. ახლანიკაშვილმა.** საკმარისია დავუკვირდეთ ზოგიერთი ხელმძღვანელის მუშაობის ტილსა და მეთოდებს, — რომ ნათელი გახდეს: მათ არ იციან, თუ როგორ უნდა დაგეგმონ თავიანთი სამსახურებრივი საზრუნავი დღის, კვირის, თვის მიხედვით. უქმად იკარგება ყველაზე ძვირფასი — დრო. საბოლოო ჯამში კი საქმე ზარალდება. ამავე დროს, როცა გარკვეულია მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები, საქმე იგება.

ამავე რაიონის როდინაულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კონპლექსში დიდხანს ვერ ეაწყო მუშაობა. მეურნეობა ჩამორჩა. აქ ფეხი მოიკიდა კერძოსეკუთრულმა ტენდენციებმა. საბჭოთა მეურნეობის ბევრი მუშაკი საზოგადოებრივ მეურნეობას პირადი გამორჩენის წყაროდ მიიჩნევდა. მაგრამ აი მოვიდა ახალი დირექტორი — ბესარიონ დათიაშვილი, მომზადებული კაცი, რომელმაც იცის საშუაო წუთის ფასი, უნარი აქვს გაუძღვეს ადამიანებს, პატიოსანი მშრომელებს, პარტიის რაიკომის, იდეოლოგიური აქტივის მხარდაჭერაზე დაყრდნობით მან მიაღწია იმას, რომ კოლექტივში მოზდა ძირეული გარდატეხა, გაჯანსაღდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. ახალი ხელმძღვანელის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნები შეხამებული იყო შრომის ანაზღაურების სრულყოფასა და სტიმულირებასთან, ფართო სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა განხორციელებასთან. ახლა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი უჭვრებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს, ლიდერობს სოციალისტურ შეჯიბრებას.

შრომისადმი მაღალშეგნებული დამოკიდებულების ატმოსფეროში გაშლილი შეჯიბრება თავად არის მძლავრი აღმზრდელობითი ფაქტორი, თქვა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.** რესპუბლიკის მრავალ შრომითს კოლექტივში სულ უფრო ეფექტიანად იყენებენ შრომითი მეტოქეობის აღმზრდელობითი როლს, წარმართავენ მას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის. ამისი მაგალითი შეიძლება იყოს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, სადაც სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, პროფკავშირული აქტივისტები, ნამდვილად სოციალურ-ეკონომიკური და აღმზრდელობითი ფაქტორი გახდა. შემთხვევითი რადა, რომ სწორედ ავიამშენებლები გახდნენ ყველგან და ყველაფერში ნამდვილად სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილი მოძრაობის ინიციატორები.

პლენუმმა პარტიული ორგანიზაციებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იდეოლოგიური კადრების მომზადებას, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმართონ პოლიტიკური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა, ამასთან გადაჭრით აღკვეთონ პრაქტიკისაგან მოწყვეტა, ფორმალიზმი, პარადულობა. ამ დიდმნიშვნელოვანი რგოლის მუშაკთა სტაჟირების, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მათი შერჩევის, მომზადებისა და დაწინაურების რესპუბლიკურ სისტემაში საჭიროა გადითვალისწინოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია იდეოლოგიური კადრების მომზადებასთან, მათი იდეურ-თეორიული და პროფესიული დონის ამაღლებასთან პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

მეცნიერება: მტკიცე შემოკბრუნება პრაქტიკისაკენ

იდეოლოგიურმა მუშაობამ საბოლოო ანგარიშით უნდა გამოიწვიოს თვისებრივი ძვრა საწარმოო ძალების მდგომარეობაში, თქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ე. ხარაძემ.** ამისთვის მას სჭირდება კავშირი მეცნიერებასთან. მეცნიერებას, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის მსოფლმხედველობაზე, ხელს უწყობს შრომის უკეთ ორგანიზაციის მოგვარებას, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩანერგვას, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის სრულ გამოყენებას, შეუძლია მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მეცნიერი საზოგადოებათმცოდნეების წინაშე დგას აქტუალური ფუნდამენტური და პრაქტიკულ-გამოყენებითი კვლევიადმი მტკიცე შემობრუნების ამოცანა; ისინი უნდა დაუპალოდნენ თანამედროვეობის საარსებო მოთხოვნილებებს, ხოლო მიმწოფებელი სოციალიზმის პრობლემების კვლევა უნდა გახდეს მათი საქმიანობის მაგისტრალური მიმართულება. ამ პრობლემატიკის მიხედვით შექმნილი ნაშრომები უნდა ითვალისწინებდნენ ცხოვრებაში არსებულ რეალობებს, მათთვის დამახასიათებელ ყველა დადებითსა და უარყოფითს მოვლენას.

აკადემიური მეცნიერების მთავარი ამოცანა დღეს ის არის, რომ განამტკიცოს კავშირი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, უფრო სრულად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნილებანი, დაასწროს მათ და განჭვრიტოს კიდეც ისინი. და ამ საფუძველზე დასახოს მთელი აღმზრდელობითი, საწარმოო, სოციალური საკითხების გადაწყვეტის ოპტიმალური გზები.

იგივე თემას ეხება თავის გამოსვლაში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **ა. ფრანგიშვილი.** ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, თქვა მან, არა მარტო კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი მიზანი, არამედ მისი აუცილებელი პირობაცაა. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში ადამიანის პრობლემას სწავლობენ, ძირითადად, ფილოსოფოსნი და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები. დადგა დრო დავაყენოთ ქვეყანაში სოციალისტური ტიპის პიროვნების კომპლექსური პრობლემის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის შექმნის საკითხი, თქვა ორატორმა.

საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერებებმა უნდა დასახონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საიმედო გზები. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათან საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინტეგრაცია. ამის გათვალისწინებით უნდა დავხვეწოთ რესპუბლიკის საზოგადოებათმცოდნეთა მუშაობის მომავალი საკორდინაციო გეგმა.

იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანი ხელმძღვანელობისათვის საჭიროა უკუკავშირი, მას კი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი აზრის ფართო შესწავლა. ამ საქმეში რესპუბლიკაში დიდი გამოცდილებაა შეძენილი. მაგრამ დღეს კვლავ მწვავედ დგას საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტებისა და მისი ჩამოყალიბებელი ინსტიტუტების მუშაობის სუსტი კოორდინაციის პრობლემა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი. ცდილობს უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი გამოკვლევები რესპუბლიკისა და ქვეყნის წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებს. პლენუმს მოახსენეს. რომ ინსტიტუტის კოლექტივმა არსებითი კორექტივები შეიტანა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში იმ ამოცანათა გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებათმცოდნეებს დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. მეცნიერებმა გადაწყვიტეს შეისწავლონ და განაზოგადონ ფოთის, მახარაძისა და გარდაბნის ექსპერიმენტების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტები. ინსტიტუტი პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პარტნორია პლენუმების, პარტიული აქტივებისა და პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების რეკომენდაციების შემუშავებაში. გაერთიანებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე დამტკიცებული რეკომენდაციების არსია პარტიული ფორუმების მომზადებისა და ჩატარების პროცესის შემდგომი დემოკრატიზაცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. გვერდწითელმა** აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო შემოქმედებითი გახდეს დაკისრებული საქმისადმი დამოკიდებულება, როგორც საკვანძო ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებელი პირობა. რესპუბლიკაში, თქვა მან, მიმდინარეობს მეცნიერებისა და წარმოების პარტნიორობის სხვადასხვა ფორმის ფართო ძიება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ექსპერიმენტულ შემოწმებას გადიან როგორც ორგანიზაციის, ისე მაღალი პრაქტიკული შედეგების მიღწევით პარტნიორთა ერთობლივი დაინტერესების, სტიმულირების ახალი ფორმები და ვარიანტები. მაგრამ, უთუოდ დადებითი ტენდენციების მიუხედავად, რესპუბლიკის სამეცნიერო ტექნიკურ პოტენციალს შეეძლო უფრო ეფექტიანად და ინტენსიურად ემოქმედა, მიაჩნია მეცნიერს.

რესპუბლიკის მაღალი მეცნიერული პოტენციალის არასაკმარისი გამოყენების ერთ-ერთ მიზეზად მან დაასახელა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების, განსაკუთრებით აკადემიის დაწესებულებათა საცდელ-სამრეწველო ბაზის სისუსტე, ზოგიერთ შემთხვევაში კი უქონლობა. ინსტიტუტებში ან წარმოებასთან ერთად ასეთი ბაზების შექმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

კითხვაზე, როგორ ვაიძულოთ მ

მთელი პარტიის საქმე

(დასასრული)

ინფორმაციის ტექნიკური საშუალებანი, განსაკუთრებით ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, განმტკიცებენ მათი მატერიალური ბაზა. შესაბამის დახმარებას მოითხოვს აგრეთვე ჟურნალი „ჭოროხი" —ავტონომიური რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის რიგების სისტემატური ზრდის პირობებში ამ გამოცემის მოცულობა არ უნდა მცირდებოდეს.

კონტრპროპაგანდის გაძლიერებასთან ერთად უნდა ხდებოდეს იმ მასალების ზუსტი პროფესიული ანალიზი, რომლებსაც ჩვენთვის მტრული პროპაგანდის ცენტრები გადმოსცემენ, იმ მიმართულებების გათვალისწინება, რომელთა მიხედვითაც უნდა ხორციელდებოდეს კონტრპროპაგანდისტული აქციები.

ორატორმა დამსწრეთ შეახსენა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება ზოგის ტარანსპორტი, ტურიზმი, იქმნება ახალი საერთაშორისო ტურისტული მარშრუტები, და თქვა, რომ კონტრპროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერების საკითხები ამასწინათ სპეციალურად განიხილა რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის თათბირმა. მან მოითხოვა მეტი პრინციპულობით მოეკიდონ იმათ, ვინც სამსახურით ან ტურისტულ მოგზაურობაში წარმომადგენლობს ჩვენს ქვეყანას საზღვარგარეთ.

— დღეს მაღლიერებით ვიხსენებთ იმას, —თქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. ადლეიბამ**, — რომ რუსი და ქართველი ხალხების კავშირის მაგალითმა სწორი გზა დაუსახა აფხაზეთსაც, რომელიც 1810 წელს ნებაყოფლობით შევიდა მძლავრი რუსეთის შემადგენლობაში და ამით ჩადაურჩა უცბოელი დამპყრობლების მრავალსაუკუნოვან უღელს, სრული ფიზიკური მოსპობის საფრთხეს.

მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ ადამიანებმა, რომლებსაც არ ესმოდათ და არ სურდათ პროგრესული ცვლილებები, რომლებმაც აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს ხალხების გაერთიანებას, ბოლოს და ბოლოს, წარმოშვეს საკუთარი ხალხის გაუმართლებელი ტრაგედია. სწორედ მათ ცბიერებით, მუქარით, პირდაპირი ძალადობით აიძულეს აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიეტოვებინა სამშობლო, ის ნაწილი, რომელიც ოსმანთა თურქეთისა და მთელი რიგი სხვა აღმოსავლეთის სახელმწიფოების მონობაში აღმოჩნდა.

სწორედ ამიტომ აფხაზეთის მშრომელები საკადრის პასუხს სცემენ ყველას, ვინც ცდილობს დათესოს ერთაშორისი შუღლი, თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით ხელს უწყობს ავტონომიურ რესპუბლიკაში დამკვიდრებული ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების დარღვევას. ამიტომაც აფხაზეთის კომუნისტებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს თანამიმდევრული, შეურიგებელი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც კარიერისტული, ვიწრო ნაციონალისტური, კუთხური მოსაზრებებით ზიანს აყენებს ჩვენს საერთო საქმეს.

ამასთან დაკავშირებთან, თქვა ორატორმა, ჩვენ ვხედავთ კონტრპროპაგანდისტული მუშაობის ყველა მიმართულებას. აფხაზეთის საოლქო პარტიულ ორგანიზაციას— საქართველოს კომპარტიის ერთერთ მებრძოლ რაზმს შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს ყველას, ვინც ხელყოფს ხალხების წმიდათაწმიდა მეგობრობასა და ძმობას. მაგრამ ამასთან ერთად საოლქო და სხვა პარტიულ კომიტეტებს ზეთოდიკური დახმარება სჭირდებათ. ამავე კონტექსტით ორატორი შეეხო სოხუმსა და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სხვა საკითხებს.

დემოკრატიის კლასობრივ არსზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა **დ. სტურუა**. მან მოიყვანა ვ. ი. ლენინის გამონთქვამები ამის შესახებ და შეეხო ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიური მტრების იმ ცდებს, რომ თანამედროვის შეგნებაში წაშალონ დემოკრატიის კლასობრივი საფუძვლები.

— საბოლოო ანგარიშით, თქვა ორატორმა, —ჩვენს საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების გაღრმავება გამოიყენება ანტისაბჭოური პროპაგანდის ლეგალიზაციისათვის. ჩვენი პროპაგანდისტული და კონტრპროპაგანდისტული მუშაობა ყოველნაირად უნდა აუმაღლავებდეს ამ ცდებს.

მოქალაქეობრივი სიმწიფის სკოლა

დღევანდელი მოსწავლეები, სტუდენტები, ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები — ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც XXI საუკუნეში უნდა განაგრძონ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ამშენებელი უფროსი ნიმუშის ტრადიციები. სწორედ ამიტომ დაუთმეს დიდი ყურადღება პლენუმის მონაწილეებმა ახალგაზრდობის პრობლემებს, ამიტომ ამხილეს ნაკლოვანებანი ახალგაზრდობასთან მუშაობაში და დასახეს მათი დაძლევის კონკრეტული გზები.

ახალგაზრდობასთან მუშაობის ძირითადი სიმძიმე, ბუნებრივია, ეკისრებათ კომკავშირულ ორგანიზაციებს. რესპუბლიკის კომკავშირს სახელოვანი ტრადიციები აქვს, მან იცის ვისგან უნდა აიღოს მიზანდასახული, შეტევითი, შემოქმედებითი მუშაობის მაგალითი. საქართველოს აკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ლორთქიფანიძემ** პლენუმის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე კომკავშირული საგუშაგოებით ყოველწლიურად მიემზადვრება 30 ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი, და თუ ასეთ ტემპს შეეინარჩუნებთ, მაშინ ხუთწლედის დამლევისთვის ჩვენში შექმნილი სამრეწველო პროდუქციის თითქმის ნახევარი ახალგაზრდების მარჯვენით იქნება დამზადებული. რესპუბლიკაში ყოველი მეოთხე მშენებელი — ეს არის ახალგაზრდა კაცი, ამ ციფრმა ტრანსპორტზე მიაღწია 19 პროცენტს, კავშირგაბმულობაში — 39 პროცენტს. მომსახურების სფეროში მუშაობს 43 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი, სოფლის მეურნეობაში — 211 ათასი, ახალგაზრდა მეჩაიეთა წილად მოდის მოკრეფილი ფთლის 49 პროცენტი, ახალგაზრდა მევენახეები უზრუნველყოფენ მოსავლის მესამედზე მეტს.

ციფრები, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას სჭირდება არა უბრალოდ მუშახელი, არამედ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც თავიანთი საამქროს, თავიანთი სამშენებლო მოედნის, თავიანთი მინდვრის ნამდვილი ბატონ-პატრონები იქნებიან. ჩვენ გვჭირდება ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ შეიფასონ თავიანთი სამშაო დრო და ამხანაგის ყოველი სამუშაო წუთი, მომჭირნედ მოეკიდონ მატერიალურ რესურსებს. ამიტომ ყველას სეროიზულად აწუხებს ის, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში მაღალი შრომის დისციპლინისათვის ბრძოლა წარმოებს ფორმალურად და აქ ზოგჯერ მეტი ხმაურია, ვიდრე საბოლოო შედეგები, რომ ამ ბრძოლას ჯერ კიდევ აკლია სიღრმე, სიმწვავე და კონკრეტულობა. ამის შედეგად ყოველწლიურად გაცდენებისა და შრომის დისციპლინის დარღვევებისათვის სამუშაოდან ითხოვენ დაახლოებით სამი ათას ახალგაზრდას, გამომუშავების საწარმოო ნორმებს ვერ ასრულებს დაახლოებით 15 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. მარტო შარშან ახალგაზრდების წილად მოდიოდა მრეწველობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კაცდღეების საერთო რიცხვის 27 პროცენტი, ეს კი ნიშნავს, რომ ახალგაზრდა გამცდენებისა და შრომის დისციპლინის დამრღვევების მიზეზით რესპუბლიკას დააკლდა დაახლოებით 11 მილიონი მანეთის პროდუქცია. ახალგაზრდა სოფლის მშრომელების გაცდენები ყოველწლიურად შეადგენს დაახლოებით 300 ათას კაცდღეს, თითქმის ორი-სამი ათასი შრომისუნარიანი ახალგაზრდა ვერ გამოიმუშავებს ვერცერთ კაცდღეს.

ასეთია, სამწუხაროდ, არაკონკრეტული და ფორმალური, ხშირად კი კუსტარული „აღმზრდელობითი" მუშაობის შედეგები, ასეთია ახალგაზრდების მოთხოვნილებებსა და მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს შორის დარღვეული შესაბამისობის შედეგი.

რა თქმა უნდა, არ ვხსნით პასუხისმგებლობას ამისათვის კომკავშირულ ორგანიზაციებს, მაგრამ არ შეიძლება არ შევეხოთ აგრეთვე აღმზრდელთა აღზრდას. ეს თემაც მწვავედ გაისმა პლენუმზე. ჩვენთვის სულ ერთი როდია, ვინ ზრდის მოზარდ თაობას. ჩვეულებრივ აღნიშნავენ ასეთ სამკუთხედს: სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, ამასთან სკოლით გულისხმობენ საერთოდ სასწავლებელს. არანაკლები როლი, თუ გადამწყვეტი არა, ეკუთვნით ოჯახს, მშობლებს. განა ყველა მშობლია მზად თავისი ყველაზე პასუხსაგები ამოცანის — ბავშვების აღზრდის ამოცანის მორალური და პოლიტიკური შესრულებისათვის? სამწუხაროდ, ყველა არა, აღნიშნა პლენუმმა. ბევრი მშობლის საზრუნავი ზნეობრივი სფეროდან მატერიალურ სფეროში გადაიზარდა, აქედან კი მოზარდებს ეწყებათ კერძომესაკუთრული, მუტრული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება. სწორედ აქ არის ეგრეთ წოდებული „ნივთმონობის" ჩანასახი, რომელიც იწვევს ამხანაგისადმი აგდებულ დამოკიდებულებას, ამახინჯებს ღირებულებით ორიენტაციებს.

როგორაა აღმზრდელთა აღზრდის საქმე უმაღლეს სასწავლებლებში? ამ კითხვას უპასუხა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა **გ. ო. ჯავახიშვილმა**. პედაგოგის ანუ ახალგაზრდობის აღმზრდელის პროფესია ზოგიერთს ჩვეულებრივი ჰგონია, პედაგოგიური უმაძღესი სასწავლებლები კი მხოლოდ დიპლომის მიღების საშუალებად მიაჩნიათ. ასეთი დამოკიდებულება საქმეს აფუჭებს, იგი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს.

საავსებით სამართლიანად აღინიშნა სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ მასწავლებლის, პედაგოგის პრესტიჟი. ამას შეგვიძლია მივაღწიოთ, ერთ მხრივ, ობიტურიენტთა შერჩევის გამკაცრების გზით, მეორე მხრივ კი პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების თვისებრივად ახალ დონეზე გადასვლის გზით.

საშუალო და უმაღლესი სკოლისადმი, მასწავლებლებისადმი ყურადღების მნიშვნელოვანი ამაღლების მიუხედავად, აქ ჯერ კიდევ ბევრი გადასაწყვეტი პრობლემაა. ეს არის მასწავლებელთა მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემის სრულყოფაც, კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციაც და მათი ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაც. ამ პრობლემების მოუწესრიგებლობა ამცირებს ახალგაზრდობის ინტერესს მასწავლებლის პროფესიისადმი, მამაკაცთა წილს პედაგოგთა შორის. ყველა ეს საკითხი გადაწყვეტას, ჩვენი მეცნიერი პედაგოგებისა და საზოგადოებათმცოდნეების გადამწყვეტ სიტყვას ელის.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიცაა კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა ინსტიტუტი, აღინიშნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **ო. ჭინქლაძემ**. მან თვითკრიტიკულად აღიარა, რომ სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ მიაღწიეს, რომ დიდი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ეს აღზრდელობითი სამსახური მაღალი უკუგებით მოქმედებდეს.

ამის მიზეზია პედაგოგ-ორგანიზატორთა კადრების შერჩევაში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, საკანცელარიო მუშაობი, თათბირებით, გარეშე დავალებებით მათი დატვირთვის ჯერ კიდევ არსებული მანკიერი პრაქტიკა. ამის გამო ისინი პრაქტიკულად მოწყვეტილი არიან ძირითად სამუშაოს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სკოლაში აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საქმეს.

დიან, ჩვენთვის სულერთი როდია, თუ ხვალ ვინ დადგება დაზგასთან, ვინ მიიჯდება ჩათს საკრეფი მანქანის საქეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა ცვლა აღეზრდება ჩვენს მუშათა კლასს. თუ პრობლემას ვრცლად შეეხედავთ, ეს უნდა იყოს ერუდირებული, განათლებული, ზნეობრივად და ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდა, რომელსაც შეეძლება კარგად შეასრულოს არა მარტო თავისი უშუალო მოვალეობანი, არამედ უპასუხოს კიდეც ყოველ კითხვას, იყოს მტკიცე და შეგნებული მებრძოლი ჩვენი იდეალებისათვის.

მხოლოდ და მხოლოდ სწავლასთან შეხამებული შრომა უზრუნველყოფს პიროვნების ადრეულ ჩამოყალიბებას, თქვა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ხ. რიგვავამ**. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მიღებული შრომა და ცოდნა მოზარდს შესაძლებლობას აძლევს ადრევე დამკვიდრდეს კოლექტივში, ამცირებს დამოუკიდებელი მუშაობისაკენ მიმავალ გზას, ეხმარება ხელფასს, შესაძლებლობას, თვითონ გადაწყვიტოს როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ხასიათის ბევრი საკითხი. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი გარკვეულ შეღავათებს აძლევს თავის კურსდამთავრებულებს, ამიტომ უნდა ავამაღლოთ მათი ქმედითობა, ესე იგი მათი ისეთი რეალიზაცია, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სოციალური, ეკონომიკური და მორალური უპირატესობების მაქსიმალურ შეხამებას არა მარტო პიროვნებისათვის, არამედ საზოგადოებისთვისაც.

ამ გამოსვლას ეხმიანებოდა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორის **ზ. ჩივაძის** გამოსვლა. მან ილაპარაკა იმაზე, რომ გაერთიანების საწარმოებში დიდი ყურადღება ეთმობა მუშათა ცვლის აღზრდას, ახალგაზრდობის პროფორიენტაციას. გაერთიანების კოლექტივს საშიფო კავშირიერთობა აქვს № 114 საშუალო სკოლასთან, რომლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ცხოველ ინტერესს იჩენს ელმავალმშენებლის პროფესიისადმი საწარმოს საამქროებში საწარმოო პრაქტიკის დროს. სკოლაში შინაური ადამიანები არიან მუშები — პიონერხელმძღვანელები, პედაგოგიური რაზმის „სიჯარუკის" წევრები.

ახალბედებს აქ მიუჩენენ ხოლმე მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტებს, რომელთაგან ბევრი სკკ წევრი და წევრობის კანდიდატია. ამასთან დამრიგებლები თავიანთ აღსაზრდელებს არა მარტო პროფესიას ასწავლიან, უვითარებენ შრომითს ჩვევებს, არამედ ბევრად განსაზღვრავენ კიდეც მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, სიამაყეს ქარხნის მარკის ღირსებისათვის, ეხმარებიან თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებაში. კოლექტივში დაინერგა დამრიგებლობის ბრიგადული ფორმაც.

პლენუმზე ბევრი და სერიოზულად ილაპარაკეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრობლემების შესახებ. აღინიშნა, რომ, სამწუხაროდ, ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარა ადამიანთა საარსებო მოთხოვნილება და როგორც ამის შედეგი — სუსტი ჯანმრთელობა, სხვადასხვა ანომალიები უკვე ბავშვობის ასაკიდან.

ფიზიკური აღზრდა სკოლამდელთა დაწესებულებებში, სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს სასწავლებლებში შინაარსით, ხასიათით, მოცულობითა და ინტენსიურობით ვერ უზრუნველყოფს დღევანდელი სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, აღნიშნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **რ. გოგლიძემ**. ყველა ჩვენგანმა, ერთმანეთს არ უნდა დავაკისროთ ბრალი, და მთელი მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობდეს ბავშვთა გაჯანსაღებასა და გაკაჟებას. ხოლო როცა გადაწყდება ეს პრობლემა, შესამჩნევად გაადვილდება მეორის, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა — დიდი სპორტისათვის ნიჭიერ ბავშვთა ძიება.

სტუდენტური სპორტის განვითარებას ბევრად შეუწყობს ხელს სხვადასხვა სტუდენტური ჩემპიონატების, სპარტაკიადების, ტურნირების მოწყობა, რომლებშიც შეძლებს და კიდევაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა სტუდენტმა, მათი უწყვეტრივი კუთვნილების მიუხედავად. მან წამოაყენა ნაციონალურ ფედერაციაში საქართველოს სს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ახლახან გამართულ დღეებში.

იტერნაციონალური აღზრდა, აღინშნა მარნეულის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ **ზ. იმანოვამ**, მხლოდ მაშინაა ქმედითი, როცა იგი ეყრდნობა ეროვნულ რეგიონებში ფართო ეკონომიკურ, სოციალურ გარდაქმნებს. მაგალითად, მარნეულის რაიონი, როშელსაც ოდესღაც ნარიმან ნარიმანოვი აღწერდა მხარედ, სადაც არ იყო ბედნიერება, სამართლე და სამართლიანობა, ახლა საქართველოს ერთ-ერთი აყვავებული რაიონია. მასთან ერთად ყოველწლიურად ვითარდებიან და მშვენდებიან ახალქალაქის, წალკის, სხვა რაიონები.

ინტერნაციონალიზმი ჩვენი კრედო, ჩვენი დროშა, ჩვენი ცხოვრების წესია. და, ამავე დროს, ჩვენ პატრიოტები ვართ. და ამაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რადგან პატრიოტზმი და ინტერნაციონალიზმი ურღვევია ამ საზოგადოებაში, სადაც თითოეულის კეთილდღეობა ყველას კეთილდღეობა ხდება.

იდეოლოგიური მუშაობა ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის პირობებში შეუძლებელია საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ინტერესების გაუთვალისწინებლად. ეს ენები ეროვნული ენების და, უწინარეს ყოვლისა, რუსული ენის, ლენინის, პუშკინისა და ტოლსტოის ენის, ერთაშორის ენის, ახლა კი უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ — საერთაშორისო ურთიერთობის ენის შესწავლას.

ცხოვრება მთელი სიცხადით უარყოფს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ყალბ მონაჩმახებს რაღაც „ძალადური ასიმილაციის" შესახებ. ცოდვა გამხელილი სჯობია, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ყველა ობიექტური პროცესი, რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის მუშაობა გამოიყენონ ნაციონალიზმის გასაღვივებლად. კარგი იქნებოდა მათ იცოდნენ, ხაზგასმით აღნიშნა პლენუმმა, რომ სწორედ რუსული ენის ცოდნის წყალობით ყველა ადამიანი ჩვენი ქვეყნის ყველა ენოვან ვითარებაში წარმატებით ასრულებს თავის საწარმოო და სოციალურ ფუნქციებს, აქვს შესაძლებლობა ეზიაროს მრავალეროვნული საბჭოთა და მსოფლიო კულტურის მიღწევებს.

ამ თვალსაზრისით, აღინშნეს ორატორებმა, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება რუსული ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და მის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებანი ახალ ფართო შესაძლებლობებს სახავს: ერთი მხრივ, რუსული ენის შესწავლისადმი რესპუბლიკის მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის სულ უფრო მზარდი მისწრაფების დაკმაყოფილებისათვის, მეორე მხრივ, მისი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მუშაობა საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების ჩანერგვისათვის დღეს რესპუბლიკაში მიმდინარეობს უფრო მრავალფეროვანი ფორმით და უფრო ღრმაშინაარსიანად, ადამიანთა მოთხოვნების შესაბამისად. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საკითხი გადაწყვეტეთ, რომ არაეთი პრობლემა არ გვაქვს. აი რატომ აღნშნა პლენუმმა, რომ ადამიანებისათვის ღრმა პატრიოტული, ინტერნაციონალისტური მრწამსის ჩანერგვა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიურმა აქტივმა, რომლებიც ემზადებიან [illegible] ქართველი ხალხების [illegible] ძმობის დიადი დღესასწაულის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისთვის — უფრო ღრმად, უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა წარმოაჩინონ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

ინტერნაციონალისტური მრწამსის ფორმირებისათვის მუშაობა წარმოებს წარსულის გადმონაშთების — ნაციონალისტური, რელიგიური ნაშთების დაძლევასთან მჭიდრო კავშირით. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი ცდილობენ გააცოცხლონ შოვინიზმი, რელიგიის დახმარებით. აი რატომ, არის საჭირო, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეუთმოთ მოსახლეობის მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის სისტემის გაუმჯობესებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიურმა მუშაკებმა მუდამ უნდა იქონიონ მხედველობის არეში მშრომელთა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხები, უფრო უკეთ გამოიყენონ თითოეული იდეოლოგიური რგოლის შესაძლებლობანი, რომელიც მოწოდებულია ეწეოდეს ათეისტურ აღზრდას.

ამასთან დაკავშირებით პლენუმმა მოითხოვა უფრო მიზანმიმართულად და კონკრეტულად ვიყენებდეთ ადამიანებზე იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების მრავალფეროვან საშუალებებს, მათ შორის დიფერენცირებულ მიდგომას, ადამიანებთან ინდივიდუალურ მუშაობას, სისტემატიურად ვაღწევდეთ თითოეული პროპაგანდისტული აქციის აღმზრდელობითს მნიშვნელობასა და ემოციურ-ესთეტიკურ მიმზიდველობას. აღინიშნა, რომ საჭიროა ყოველნაირად იქნეს გათვალისწინებული ლენინური ნორმები მიზანმიმართულად, ობიექტურად, ობიექტურ-ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ენების, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქოლოგიის, ეროვნული ფერის, ეროვნული ხასიათის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ბუნებრივ-ეკონომიკური ადგილმდებარეობ

რევოლუციით შთაგონებული

რევოლუციის უნიჭიერესი პოეტის დაბადების 90 წლისთავის ზეიმი დღესასწაულია საერთოდ რევოლუციური პოეზიისა, ხალხისა და სამშობლოს სამსახურში ჩამდგარი მაღალი და ჭეშმარიტი პოეზიისა, პოეზიისა, რომელმაც მუზად აღიარა ქვეყნის გარდამქმნელი კლასის გმირული შემართება და თავისი თავი რევოლუციის რიგით ჯარისკაცად გამოაცხადა.

მაიაკოვსკის ეს იუბილე არის არა მარტო ახალი რუსული პოეზიის, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის ზეიმი, რადგანაც ჩვენს საუკუნეში, ოქტომბრის რევოლუციით განახლებულ ჩვენს დიდ ქვეყანაში არ ყოფილა სხვა მეორე პოეტი, რომელსაც ასე განუსაზღვრელი გავლენა მოეხდინოს საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განვითარებაზე, მისი შინაარსისა და ფორმის განახლებაზე.

მაიაკოვსკის პოეზიის ეს ზეიმი არის მსოფლიოს პროგრესული პოეზიის ზეიმიც, რადგან ჩვენს ეპოქაში, სოციალური რევოლუციებისა და ხალხთა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლების ეპოქაში, ჩვენს პლანეტას არ ჰყოლია მეორე პოეტი, რომლის შემოქმედებასაც ასოდენ დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონოდეს.

მაიაკოვსკის ისტორიული როლის ეს უნივერსალიზმი განაპირობა არა მარტო პოეტის უდიდესმა ნიჭმა და მისი შემოქმედების უფართოესმა მასშტაბმა, არამედ, რაც მთავარია, დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეების ეპოქალურმა მნიშვნელობამ, იმ იდეების სიდიადემ, რომლის აგიტატორადაც ვლადიმერ მაიაკოვსკი მოევლინა ახალ რუსულსა და მთელ საბჭოთა ლიტერატურას, ახალი მსოფლიოს პროგრესულ ლიტერატურას.

ჯერ კიდევ უსაკო პოეტი ქუთაისში ეზიარა რევოლუციას. იგი არა მარტო მოწმე იყო ალიხანოვის მიერ დახვრეტილი ხანძრებისა და კაზაკების მიერ მოწყობილი სისხლსღვრისა, არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა დემონსტრაციებსა და მოსწავლეთა გაფიცვებში.

იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს და, ბოლოს, მოსკოვში, ბუტირკის საპყრობილეში ჩასვეს, სადაც მან თერთმეტი თვე დაჰყო პატიმრობაში. ასეთი რევოლუციური სკოლის გავლის შემდეგ მაიაკოვსკისათვის სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იყო ოქტომბრის რევოლუციასთან მისვლა, თავისი თავის გამოცხადება რევოლუციის მიერ მობილიზებულად.

რევოლუციის იმ ქარიშხლიან დღეებზე წერდა მაიაკოვსკი თავის ავტობიოგრაფიაში: „მივიღო თუ არ მივიღო? ასეთი კითხვა ჩემთვის არ არსებობდა. ჩემი რევოლუციაა... წავედი სმოლნში, ვმუშაობდი. ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მომნდომებოდა“.

სწორედ რევოლუციის წინ, 1911-12 წლებში უახლოვდება მაიაკოვსკი რუსი მემარცხენეების ჯგუფს, აქტიურად მონაწილეობს მათს გამოსვლებსა და მანიფესტების შექმნაში, წერს ფუტურისტულ ლექსებს. ეს იყო ამბოხება კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, პროტესტი დამპალი ბურჟუაზიული ესთეტიკის, რელიგიური სიბნელისა და მეშჩანობის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში დაწერილ თავის საუკეთესო პოემაში „შარვლიან ღრუბელში“ პოეტი თითქოს ინსტინქტურად გრძნობს კაცობრიობის განშაჯლებელი გრიგალის — რევოლუციის მოახლოებას.

პოეტი ვაჟკაცურად იმაღლებს ხმას იმპერიალისტური ომის, ხალხთა საშინელი სასაკლაოს წინააღმდეგ. იგი გულწრფელად მიესალმა რევოლუციას.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მაიაკოვსკი გატაცებით ებმება ახალი ქვეყნის მშენებლობაში, წერს ლექსებს, რომლებშიც უმღერის საბჭოთა ადამიანების თავისუფალ შრომას. შემოქმედებითად ეხმაურება ყოველ ახალ მნიშვნელოვან სამშობლოს ცხოვრებაში. პოეტი თავის თავს მუშათა კლასის ნაწილად აცხადებს და ყველაფერს აკეთებს ამ შემტევი კლასის საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

მაიაკოვსკის ეს ლექსები და პოემები დღემდე რჩება საბჭოთა პოეზიის სწორუპოვარ შედევრებად.

ლექსში „საბჭოთა პასპორტი“ ავტორმა დიდი პოეტური მღელვარებით გადმოგვცა საბჭოთა ადამიანის სიამაყე იმის გამო, რომ ის არის ახალი სოციალისტური ქვეყნის შვილი. ეს ლექსი საბჭოთა პატრიოტზმის ჰიმნია, საგალობელია იმ პატრიოტიზმისა, რომელიც ამავე დროს აღსავსეა ყველა ხალხისადმი სიყვარულითა და პატივისცემით.

ადამიანის ბედზე ღრმა ფილოსოფიური დაფიქრების შესანიშნავი ნიმუშია ლექსები „ამხანაგ ნეტტეს — ხომალდს და ადამიანს“, „სიუბილეო“, „სერგეი ესენინს“, და სხვა. ამ ქვეთილშობილური ადამიანური სევდით გამთბარ და ჯონებამხვილ, მსუბუქი იუმორით შეფეკრილ ლექსებში პოეტი თვალს უსწორებს მარადისობას და ადამიანის უკვდავებას ხედავს სამშობლოსათვის, სახალხო საქმისათვის სიცოცხლის დახარჯვაში.

მაიაკოვსკიმ შექმნა ახალი ტიპის პოემები, დიდი სოციალისტური შინაარსით დატვირთული და ღრმა პოეტური შთაგონებით აღბეჭდილი პოემები „კარგია“, „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ და „მთელი ხმით“.

„კარგია!“ ავტორმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 10 წლისთავს მიუძღვნა და იგი ამ რევოლუციის აფეთქების, განვითარებისა და საბოლოდ გამარჯვების ერთგვარი პოეტური მატიანეა.

რევოლუციის ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური ორგანიზატორის დიდი ლენინის უკვდავი სახე მუდამ იყო მაიაკოვსკის შთაგონების წყარო.

1924 წელს, ლენინის გარდაცვალების წელს, პოეტი შეუდგა ფართო ტილოზე მუშაობას და იმავე წელს დაასრულა თავისი საუკეთესო პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. ამ პოემაში ავტორმა სიყვარულით დაგვიხატა მასების ჭეშმარიტი ბელადისა და ახალი ქვეყნის შემოქმედის მონუმენტური სახე.

ეს პოემა ლენინის იდეების უკვდავების, მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის უძლეველობის დიდებული ჰიმნია. იგი დღემდე რჩება მშვენებად და გვირგვინად ყოველივე იმისა, რაც აქამდე შეუქმნია მსოფლიოს პოეზიას ლენინის თემაზე.

პოემა „მთელი ხმით“ მაიაკოვსკის უკანასკნელი დიდი ტილოა. ამ ნაწარმოებში ახალი ძალითა და ბრწყინვალებით გამოჩნდა პოეტის ნიჭის ყველა ის განუმეორებელი თვისება, რომლებმაც პოეტი ჩვენი დროის უპირველეს მომღერლად აქციეს. ფილოსოფიური სიღრმე და ვაჟკაცური ლირიზმი, თავისი დროისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება, სამაყეკი იმ ადგილის გამო, რომელიც მგოსანმა ახალი ქვეყნის ცხოვრებაში მონახა.

რევოლუციამ, ქვეყნის სოციალისტურმა გარდაქმნამ, საბჭოთა ხალხის მგრეულმა ბრძოლამ და შრომამ მაიაკოვსკის შემოქმედება აღავსო ახალი შინაარსით, მიანიჭა მას ახალი ფორმა, მაიაკოვსკიმ გაამდიდრა რუსული პოეზია გაბედული, მოულოდნელი სახეებით, სრულიად ახალი ინტონაციებით, შექმნა საკუთარი პოეტური სტილი, რომელიც დღესაც დიდ გავლენას ახდენს მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაზე.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი კვლავ ლაშქრავს ბუთფწლედის მიჯნებს, როცა პარტიამ ისევ მოუწოდა ჩვენს ხალხს ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების შესასრულებლად თავდადებისათვის, საბჭოთა პოეზია იხსენებს მაიაკოვსკის მაგალითს, ისევ დგება რევოლუციის მიერ მობილიზებულ ჯარისკაცთა რიგებში, რათა მთელი ხმით უმღეროს ახალი მშენებლობის გაქანებას, კომუნიზმის ხარაჩოებზე მდგარი საბჭოთა ადამიანების ახალ მძლავრ შემართებას.

რევოლუციური პოეზიის მედროშისა და კლასიკოსის ლექსები ახალგაზრდობაზე, დამკვრელურ ბრიგადებსა და ხუთწლედის თემაზე დღესაც რჩება იმ ნიმუშად, რომლებსაც მხარი უნდა გაუსწოროს დღევანდელ საბჭოთა პოეზიამ, და ჩვენ გვახარებს ქართულ და მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაში მაიაკოვსკის რევოლუციური პოეზიის ტრადიციების ახალი გამოცოცხლება, რომელიც უკანასკნელ ხანს შეინიშნება.

მაიაკოვსკის იუბილეს დღეს მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ყველა საბჭოთა ხალხი ზეიმობს.

მაგრამ ქართველ ხალხს ამ ზეიმისადმი თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს.

ამ დამოკიდებულებას სრულიადაც არ განსაზღვრავს მხოლოდ ის ფაქტი, რომ მაიაკოვსკი საქართველოში დაიბადა.

მაიაკოვსკისადმი ქართველი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის უპირველესი საფუძველი მისი დიდი შემოქმედება, პოეზიაა, რომელიც ერთნაირად ახლობელი და საამაყოა ყველა საბჭოთა ხალხისათვის.

ამას ემატება ისიც, რომ მაიაკოვსკიმ ერთგვარად დაგვიტოვა და ახლებურად წარმოადგინა თითქმის უნიკალური მაგალითი რუსული პოეზიის კორიფეების შემოქმედებითი მეგობრობისა საქართველოსთან.

მისთვის საქართველო არც ეგზოტიკაა, არც მხოლოდ ბუნების წარმტაცი სილამაზე. იგი სასურველი სტუმარი ან მოგზაური კი არ არის საქართველოში, არამედ ამ ქვეყნის მკვიდრია, მისი მთისა და ბარის სისხლხორცი და მისი ხალხისაგან განუყოფელი, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მესამედი მაიაკოვსკიმ საქართველოში გაატარა. ეს იყო წლები უზრუნველი ბავშვობისა და პოეტის მთელი დანარჩენი ცხოვრება და შემოქმედება დადასტურებაა იმ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებისა, რომ მხატვრისათვის, შემოქმედისათვის ყველაზე ძლიერი ის შთაბეჭდილებაა, რომელსაც იგი ბავშვობაში ღებულობს და რომ ეს შთაბეჭდილება შემდგომში ასაზრდოებს მთელ მის შთაგონებას.

მაგრამ საქართველოში გატარებული ბავშვობის წლები მხოლოდ უდარდელი ბავშობა როდი იყო მომავალი პოეტისათვის.

მან, ჯერ კიდევ ყრმამ, განიცადა ჩაგრული ხალხის თავსუფლებისათვის ბრძოლის სიმკაცრე, ეზიარა რუსეთის პირველ რევოლუციას და რევოლუციის ეს პირველი გაკვეთილი შემდეგში მთელი მისი დიდი გზის განმსაზღვრელი შეიქნა.

მაიაკოვსკი პირველი და ერთადერთი დიდი რუსი პოეტია, რომლისთვისაც ქართული ენა მეორე მშობლიური ენა იყო, რომლის ფანტაზიის გაღვიძებაში ქართული სიმღერებისა და ზღაპრების, ქართული ფოლკლორის სამყაროსაც თავისი წილი უდევს.

მაიაკოვსკის ოჯახს ბაღდადელ მკვიდრთა საერთო სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. სიკვდილის შემდეგ ერთერთ ოფიციალურ დოკუმენტში პოეტის მამა იხსენიება როგორც «Любимец народа».

პოეტი უკვე მესამე თაობა იყო საქართველოში დასახლებული მაიაკოვსკეებისა და ამიტომაც ჰქონდა მას უფლება „არაერთხელ ხაზგასმით გამოეცხადებინა თავისი თავი ქართველად.

დიდი რუსი პოეტისადმი ქართველი ხალხის სიყვარული და პატივისცემა ხაზგასმულად გამოვლინდა უკანასკნელ წლებში: თბილისსა და ბაღდადში დაიდგა მაიაკოვსკის ძეგლი, დაწესდა ყოველწლიური დღესასწაული — მაიაკოვსკის დღეები, რომელიც უკვე იქცა მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის ზეიმად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით დაწესდა მაიაკოვსკის სახელობის ორი ყოველწლიური პრემია, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი ანიჭებს ახალგაზრდა პოეტებს „ბალლიდიური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც გამსჭვალულია კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებით“.

ამის გარდა დაწესებულია მაიაკოვსკის დღეების მონაწილეთათვის კიდევ სამი პრემია.

ამ პრემიების საკავშირო რეზონანსი წლითიწლობით ფართოვდება. ახალგაზრდა ქართველ პოეტებთან ერთად მაიაკოვსკის პრემიით უკვე დაჯილდოვდნენ რუსი, უზბეკი და უკრაინელი პოეტები.

წელს მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო ზეიმი ჩვენთან, საქართველოში, იწყება. ეს არის რუსული და ქართული პოეზიის იმ ტრადიციული მეგობრობის ახალი შინაარსით გაღგრძობა, რომლის სათავეებთანაც დგანან გურამიშვილი და პუშკინი, ლერმონტოვი და ბარათაშვილი.

გრიგოლ აბაშიძე.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲘᲪᲐ

ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობებმა რამდენიმე ახალი გამოცემით შეავსეს დიდი პოეტის საიუბილეო წიგნის თაროები.

„გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის წიგნი „ვლადიმერ მაიაკოვსკის“, რომელიც იხსენება რევოლუციის ტრიბუნისადმი მიძღვნილი ორი ლექსით „ბაღდადი“ და „გაბაასება ვლადიმერ მაიაკოვსკისთან“. კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე ი. აბაშიძის მიერ თარგმნილი ვ. მაიაკოვსკის ლექსები: „საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე“, — „საუბარი ამხანაგ ლენინთან“, „ვლადიკავკაზი-თბილისი“, „დამკვრელი ბრიგადების მარში“, „რა არის კარგი, რა არის ცუდი“.

წიგნი მხატვრულად გაფორმა თ. სამსონაძემ.

ამავე გამომცემლობამ დასტამბა კრებული „მოგონებები მაიაკოვსკიზე“, წიგნი აკოცხლებს ქართველ მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრებს პოეტთან, მაიაკოვსკის საქართველოში ყოფნის ცალკეულ ეპიზოდებს.

რედაქტორია დ. კეშელავა.

ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის კარგი ტრადიცია არსებობს. სხვადასხვა დროს გამოცემულია პოეტის რჩეული ლექსებისა და პოემების კრებულები. გამომცემლობა „მერნის“ მიერ შეიდი ათასი ტირაჟით გამოცემულ პოემების ამჟამინდელ კრებულში შესულია ოთხი პოემა „შარვლიანი ღრუბელი“, „ხერხემლის ფლეიტა“, „მიყვარს“, „მთელი ხმით“, რომელთა მთარგმნელია ვახტანგ ჯავახაძე, რედაქტორი — ი. ლეკვა.

პოეტის „რჩეული ლირიკა შესთავაზა მკითხველებს გამომცემლობა „ნაკადულმა“. კრებულში შეიდა ვ. მაიაკოვსკის ლექსების ახალი თარგმანები, რომლებიც შესასრულეს ი. აბაშიძემ, მ. ფოცხიშვილმა, ხ. ბერულავამ, თ. ბექნიშვილმა, ჯ. იხვიამ, ვ. ჯავახაძემ, გ. ხუხაშვილმა, მ. პატარიძემ, დ. გიჩეჩილაძემ, წიგნი გაფორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ზ. ფორჩხიძემ, დართული აქვს ილუსტრაციები და თავსამკაულები. კრებულის რედაქტორია მ. ფოცხიშვილი, მხატვრული რედაქტორი — გ. ღონღაი.

პოეტი-ტრიბუნის სახლ-მუზეუმს ბაღდადში ეძღვნება აგრეთვე ბუკლეტი, რომელიც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

ᲗᲐᲝᲒᲐᲗᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ მაიაკოვსკი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, უზარმაზარი ძალის პოეტია, რევოლუციისა და კაცობრიობის პროგრესის ტრუბადური თვითონვე იყო რევოლუციონერი პოეზიაში.

მაიაკოვსკი — პიროვნება და პოეტი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. მისი ახოვანი ფიგურა და ომახიანი ხმა ბუნებრივად ერწყმოდა მისი პოეზიის გრგვინვას.

როგორც გრდემლზე დაცემული ურო გამოსცემს ხმასა და ნაპერწკალს, ისე ძლიერი და ცეცხლოვანია მისი ლექსი. მძლავრი ხელით შემოკრული ზარივით რეკდა მისი სიტყვა, მაგრამ იგი კი არ აყრუებდა, აფხიზლებდა ადამიანებს.

ეს სტიქიასავით მოვარდნილი კაცი პირად ცხოვრებაში ჭეშმარიტი ადამიანი იყო. მასაც სტკიოდა, ენატრებოდა, უყვარდა და თავის სიყვარულში ზარად უმწეოცა და მიუსაფარიც ჩანდა.

ეს — ცხოვრებაში, ლექსში კი მისი სიყვარული ბობოქარი, დაუცხრომელია, მხოლოდ დიდი და დაუოკებელი ვნებები ღელავენ მაიაკოვსკის ლექსებში, მისი სიყვარული წააგავს გოლიათის სიყვარულს, რომლის წამლეკავ ძალას ძნელად თუ ვინმე აღუდგება წინ.

მაიაკოვსკის მეტაფორა ყოველთვის ახალია, ყოველთვის მოულოდნელია და გამოგზებული. ამავე დროს იგი ლექსის გარეგან სამკაულს კი არ წარმოადგენს, მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს.

მაიაკოვსკი ვირტუოზულად ფლობს ლექსწერის ტექნიკას. ამიტომ, ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს პოეტს ყველაფერი იოლად ეძლეოდეს. სინამდვილეში კი ეს გარეგნული, ასე ვთქვათ, სიიოლე, უზარმაზარი შრომის ნაყოფია. აკი თვითონვე ამბობს პოეტი, რომ ერთი სიტყვის მისაღებად მაძნის მთელი გორების გადამუშავებაა საჭირო.

მისი შედარება ყოველთვის საოცრად თამამია, ხშირად განსაცვიფრებელიც. სხვასთან ასეთი შედარება ზოგჯერ შეიძლება ულოგიკოც იყოს, მაგრამ მაიაკოვსკისთან ყოველთვის ლოგიკურია, ყოველთვის მაზეილია და ორიგინალური. ძნელია მსოფლიო პოეზიაში მოიძებნოს მეორე პოეტი, რომლის პოეზიაშიც ასეთი გასაოცარი და თამამი შედარებები ნიაღვრად მოსჩქეფდეს: „კარებმა ისე გაიღრჭიალა, თითქოს ერთმანეთს ვერ აჴვედრებს კბილებს სასტუმრო“, ან „თათზე ვარსკვლავთა ტკიპებივინ ყური უძევს და სძინავს სმაყროს“, ან კიდევ: „და მზე ანასკვერ დედამიწის ირგვლივ იცეკვებს, როგორც ჰეროდე ნათლისმცემლის თავის გარშემო“.

მისი პოემები „შარვლიანი ღრუბელი“, „ხერხემლის ფლეიტა“, „მიყვარს“ ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ისინი პირველივე ფრაზიდან გვაფელვებენ და როდესაც კითხვას ჩავთავავებთ, მღელვარება კიდევ დიდხანს გაგყვება ხოლმე.

მაიაკოვსკის პოეზიის საიდუმლო უპირველეს ყოვლისა მისი მჩქეფარე პოეტური ტალანტია.

უეჭველია, რომ საქართველოში ცხოვრებამ მასზე დიდი გავლენა მოახდინა. მის პოეზიაში ჭეშმარტი, ქართული ტემპერამენტი შეერწყა რუსული ლექსის ეპიკურ სუნთქვას.

მაიაკოვსკიმ შესანიშნავად იცის, რომ მის პოეზიას სიკვდილი არ უწერია.

იყო დრო, როცა რევოლუციისა და პროგრესის მტრები უკიჟინებდნენ პოეტს, რომ მისი პოეტური არსენალი ამოიწურა, რომ ის, რასაც მაიაკოვსკი წერდა, აღარ არის საჭირო. ამან თავის დროზე გული მოუკლა პოეტს, მაგრამ მან ყველაზე უკეთ იცოდა თავისი პოეზიის ფასი.

ყოველი ლექსი, ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა პოეტის მიერ ათგზის არის განცდილი. ეს თვით ცხოვრებაა, ცხოვრება, რომელსაც სმარულთან ერთად ტკივილიც მოაქვს. მხოლოდ ჭეშმარიტად დიდი პოეტები ახერხებენ თავისი ტკივილების სტრიქონებად გარდაქმნას. „და ჩემს ტკივილებს სტრიქონებად ვაწყობ-ნგაებდიო“, ამბობს პოეტი.

მაიაკოვსკი სიცოცხლის ბოლო დღემდე ლექსითა და საქმით მხარში უდგა თავის ხალხს. რევოლუციის შემდგომ მისი შემოქმედება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში მოახდარი გრანდიოზული მოვლენების პოეტური ისტორიაა. თავისი მახვილი და მართალი სიტყვით იგი აძხნევებდა ადამიანებს, და გზასაც უჩვენებდა მათ. მაიაკოვსკის ყოველთვის სწამდა ადამიანის სულის უკვდავება.

მაიაკოვსკის პოეზია უყვარს ახალგაზრდობას, რომელს ‘ც სჩვევია ფასეულობათა გადაფასება. მაიაკოვსკის შემოქმედება რუსულ პოეტურ ფასეულობათა ერთგვარი გადაფასებაც იყო და მისი საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებაც.

მის პოეზიას მარადის დაეწაფებიან მომავალი თაობები.

ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲔ.
ვლადიმერ მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲣᲖᲘ

ᲛᲐᲝᲤᲚᲘᲝ ლიტერატურის ისტორიამ თითო-ოროლა თუ იცის მაგალითი იმისა, რომ პოეტს ღრმა მოხუცებულობაშიც არ გაელვებდეს ლექსის ღადარი, მუზა სტრიქონებს უკარნახებდეს და შემდეგ მკითხველიც სიამოვნებით ეცნობოდეს ამ სტრიქონებს. ესეც რჩეულთა ხვედრია, გულით უბერებელთა ხვედრი. ერთი რჩეული ჩვენია, სათავეებიდან მოჰყვება ქართულ საბჭოთა პოეზიას და დღესაც, უკვე 89 წლისა, მხატვრული სიტყვის სიკაშკაშით გვაოცებს.

...ზოგჯერ კი მწერალთა კავშირში იქმნება, გამომცემლობებში თუ მეგობრებთან პუროს დროს, ნაღვლიანად იგონებს გაფრენილ დღეებს, წასულ თანამოძმეებს — „ცისფერყანწელთა“ დასს და კიდევ ათას რამეს. მაინც მხნედ არის ცოცხალი მატიანე ქართული საბჭოთა მწერლობისა, მხნედ არის და კვლავაც ღამეს უთევს ლექსის სტრიქონებს.

კოლაუ ნადირაძეს რამდენჯერმე შეგხვედრივარ, ახლა მის სამუშაო ოთახში ვლადიმერ მაიაკოვსკიზე ვსაუბრობთ. ამ საუბარში თავისთავად ილანდებიან პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა სახეები...

სხვაგვარად არც შეუძლია კოლაუ ნადირაძეს...

მაგრამ ახლა ჩვენთვის მთავარი მაიაკოვსკია...

— ქუთაისის გიმნაზიაში ერთად ვსწავლობდით, ის ერთი კლასით ჩემზე წინ იყო. ბალახვანში დაუქირავა ბინა მამამისმა. ყოველ შაბათს ბაღდათში მიდიოდა, ძალზე უყვარდა იქაურობა, „მე ხანისწყალი მაქვს დალეულიო“, იტყოდა ხოლმე ამაყად. ბაღდათიდან მობრუნებული, გვიროგებდა ჩურჩხელებს, წაბლს, ზომარტლს, ათასგვარ ხილეულს. დაგრაგნილ ტკბილისკვერს „ეგიპეტსკი პაპირუსს“ ეძახდა, ცოტა ხნის შემდეგ რიონის ტალღებსაც შევეჩვიეთ, მერე გოკაურაზე და წყალწითელას ხიდთან არალეგალურ კრებებსაც ვესწრებოდით...

— ქართულად კარგად ლაპარაკობდა?

— წმინდა იმერული კილოთი. ქართული არასდროს დავიწყებია, რუსეთშიც სხვებთან ერთად რამდენჯერაც შევხვედრივარ, „ქართულად, მელაპარაკეთ, მე ბაღდათელი ვარო“, გვეუბნებოდა.

ახლა ზუსტად არ მახსოვს, მგონი, 1914 წელი იდგა. მოსკოვში ვიყავი და მეგობართან ერთად ზამინის საოპერო თეატრში მოვიჭქარიდი იტალიელი მომღერლის ბატისტინის მოსასმენად. უცვებ მესმის: „კოლია, კაცო, კოლია... მოიცა ერთ წუთს!“.. მოვიხედე — მაიაკოვსკი. გადავეხვიეთ ერთმანეთს.. „სად მიდიხარ, კაცო“ — მეუბნება. ვუთხარი, რომ ბატისტინია ჩამოსული და უნდა მოვუსმინო-მეთქი. იცინა, ეიოხროხა, ბატისტინი კი არა, ბატისტვინი იქნება, ძმაო, მაგ, ვიღაცაა, წამოდი ერთი საქართველოს სადღეგრძელო დავლიოთო...

ბევრს ხუმრობდა იმ საღამოს „ბატისტინი — ბატისტვინი“ ძალიან მოსწონდა.

— ფუტურისტი და ცისფერყანწელი როგორ ეწყობოდით ერთმანეთს?

— მაიაკოვსკის არასდროს დაუწერია ისეთი ლექსი, ზოგიერთი ფუტურისტი პოეტი რომ წერდა. სინთეზე ყოველთვის ახლდა მის პოეზიას. სულიერად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ამან განაპირობა, ალბათ ისიც, რომ მოგვიანებით სიამოვნებით ვთარგმნე მაიაკოვსკის რამდენიმე ლექსი.

— რას იტყოდით მაიაკოვსკის პოეზიის მნიშვნელობაზე?

— მოგეხსენებათ, რა უდიდესი როლი შეასრულა მისმა პოეზიამ ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე. დიდი იყო იმ წლებში მაიაკოვსკის პოპულარობა, პოეტი-ტრიბუნი, ლექსის უბადლო მკითხველი უზომო გავლენას ახდენდა მსმენელზე, ახლა, რა კარიკატურისტი!.. მისმა შემოქმედებამ თაობები აღზარდა და დღესაც გამორჩევით მჭუხარებს, გამორჩევით ნათელია და მიზანმიმართული. ჩემი აზრით, მაიაკოვსკი ახალი დროის უდიდესი პოეტია, ლექსის რეფორმატორი, ძველი აზრების, ფორმების დამანგრეველი „წყალწყალა ლექსის მოსისწლეტერი“. ზოგი ცდილობს ვერლიბს მაიაკუოვნოს მისი ლექსის ფორმა, მაგრამ, არა მგონია, სწორი იყოს ეს მოსაზრება, საოცრად მუსიკალურია მაიაკოვსკის ყოველი ნაწარმოები. ახლა, გავლენას არ იკითხავთ? არ გაგიკვირდეთ და ესენინი რომ ესენინია, მის რამდენიმე ლექსშიც კი იგრძნობა მაიაკოვსკის პოეზიის მუხტი...

...მერე იმაზე გესაუბრება ბატონი კოლაუ, თუ რა განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა მაიაკოვსკის ქართველი მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი. „მეგობრებო, წინ-წინ გასწინი, ნუ შედრკეკება თქვენი გული!“ — დაეკუხებდა ხშირად ევდოშვილის სტრიქონებს და თან დაეყოლებდა: „უჰ, რა ლექსიაო“.

ამბობს, რომ დავწერე მოგონებები იმ დღეებზეო, კიდევ მაქვს ბევრი მოსაგონარი, მაგრამ უდროოდ წასულ თანამოძმეთა აჩრდილებს რომ მოვეფერები, მერე ღამღამობით ცუდად მძინავსო, რას არ მოვსწრებივარ, რამ გამაძლებინაო...

და შემდეგ კარებამდე მაინც იმედიანი ღიმილით მაცილებს.

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲝᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

● ᲐᲨᲨ

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თოქმის ორკვირიანი შეხვედრების შემდეგ მუშაობა განაახლა შეერთებული შტატების კონგრესმა.

იმ პრობლემებიდან, რომლებიც ამერიკელმა კანონმდებლებმა უნდა განიხილონ, პრესა განსაკუთრებით გამოყოფს ადმინისტრაციის სამხედრო პოლიტიკის საკითხებს. მოელიან, რომ სენატში მწვავე კამათი გაიმართება 1984 საფინანსო წლის სამხედრო ასიგნებათა შესახებ კანონპროექტის გამო. როგორც ცნობილია, ორდადგებამდე ცოტა ხნით ადრე სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ პრაქტიკულად ადმინისტრაციის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, რომლებიც მიზნად ისახავს ვაშინგტონის გლობალური მილიტარისტული მზადების დაჩქარებას.

მაგრამ კონგრესის ზედა პალატაში ძლიერდება ოპოზიცია კანონპროექტისადმი, რომლის მიხედვითაც დაგეგმილი ასიგნებანი თეთრ სახლს და პენტაგონს საშუალებას მისცემს სამხედრო ხარჯები რეკორდულ დონემდე — 280 მილიარდ დოლარამდე გაზარდონ. პრესის ცნობით, სენატორთა ჯგუფი აპირებს შესწორებათა მთელი სერიის შეტანას იმ მიზნით, რომ დააბრკოლოს ბირთვული შეიარაღების თვისებრივად ახალი სისტემების შექმნისა და განლაგების პროექტების განხორციელება.

● ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲐ-ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲞᲝᲜᲝᲛᲞᲔᲜᲘ. ტაილანდის მხედრიონი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს კამპუჩიის წინააღმდეგ. იგნისში ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა 13-ჯერ მოაწყვეს დაზვერვითი ფრენა მთელ რიგ საზღვრისპირა რაიონებში. ტაილანდის შეიარაღებული გემები 408 ჯერ შეეჭრნენ კამპუჩიის ტერიტორიულ წყლებში. ტაილანდის ტერიტორიიდან მასირებულად უშენდნენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს რესპუბლიკის ბევრ რაიონს.

კამპუჩიელმა მესაზღვრეებმა 600-ზე მეტი პოლპოტელი ბანდიტი მოსპეს, რომლებიც კამპუჩიის ტერიტორიაზე დივერსიების მოწყობის მიზნით შეეპრას ცდილობდნენ.

● ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲜᲘ

**ᲒᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ისრაელ ოკუპანტთა ცდები ტერორითა და რეპრესიებით დაამკვიდრონ თავიანთი ბატონობა ლიბანის მიტაცებულ ტერიტორიაზე, იწვევს ლიბანელ პატრიოტთა მზარდ წინააღმდეგობას. 10 ივლისს პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა ინტერვენტთა სამხედრო პატრულს ნაბათიაში. ოპერაციის შედეგად მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ისრაელი ჯარისკაცი